ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკავებული მამა და მეზობელი არასრულწლოვანზე სექსუალურად სისტემატურად ძალადობდნენ

გვ.5



ოთხშაბათი, 10 მაისი, 2023 №90 (9126) ფასი: 80 თეთრი

# „ოცნება“ ქოლცენტრების საქმეზე მაღალი თანამდებობის პირს გაწირავს“



ლადო სადღობელაშვილი: „კეზერაშვილმა დღევანდელ „ქართულ ოცნებასთან“ ვერ დაალაგა სიტუაცია“

გვ.2





„გახარიას პრემიერობის დროს, მისი ძალოვანი მინისტრების პირობებში მოხდა ქოლცენტრების დაფუძნება და მთელს ქალაქში გაშლა“

გვ.3



## გიორგი ვაშაძე: „ჩემი ინფორმაციით, სუს-ისა და შსს-ს ხელმძღვანელები გერმანიაში იყვნენ დაბარებულები“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიცია ისე იქცევა, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კიდევ დიდხანს დარჩება“

გვ.3



დათო ლორთქიფანიძე: „არასერიოზულია ყველას პრორუსი უწოდო, ვინც კონსერვატორთა კონფერენციაში მონაწილეობდა“

გვ.4



გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ ოლიგარქია და მთელ ოპოზიციას და ტელევიზიას ნაძარცვი ფულით აფინანსებს“



პრემიერი: „უკრაინას და უკრაინელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას და ამ დიდი, დამანგრეველი ომის მალე დასრულებას“

გვ.3

1993230720223

2 სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 46 მოზარდი — სამი თვის საგანგაშო სტატისტიკა

4 „რუსეთის მმართველი ელიტა ფსკერისკენ მიმავალი წყალქვეშა ნავის გუნდია“

5 „გაგიჟდით?.. ადამიანები არ ხართ, რაში იღებთ ფულს?!“ — რა ხდება მოხუცთა თავშესაფარში

6 ბაიდენი ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლის გაძლიერებას მოითხოვს

# „ოცნება“ ქოლცენტრების საქმეზე მაღალი თანამდებობის პირს გაწირავს“

## ლადო სადღობელაშვილი: „კეზერაშვილმა დღევანდელ „ქართულ ოცნებასთან“ ვერ დაალაგა სიტუაცია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.



*– ლადო, ქოლცენტრების საქმესთან დაკავშირებით ვხედავთ რამხელა აჟიოტაჟია ატეხილი. საზოგადოების ინტერესიც საკმაოდ მაღალია. ხელისუფლება და ოპოზიცია კი გადაბრალების რეჟიმში არიან. თუმცა, იმასაც იაზრებს საზოგადოება, რომ არა ხელისუფლების მფარველობა, ეს ყველაფერი არ გამოვიდოდა. რა ხდება რეალურად?*

– ეს ვერსიები არსებობს და ამას თავის სარჩულიც აქვს. რატომ საუბრობს ყველა კეზერაშვილზე, მაშინ როდესაც, მიდის ქოლცენტრების ხსენება. საზოგადოებას მინდა გავახსენო ის პერიოდი, როდესაც ბატონი გახარია იყო პრემიერ-მინისტრი.

*– გახარია რა შუაშია?*

– ჩემი ინფორმაციით, სწორედ მის პრემიერობას უკავშირდება ამ ქოლცენტრების მომრავლება საქართველოში. ძირითადად თბილისში იყო ამ ქოლცენტრების ოფისი. თავიდან ასეთი ოფისები ცოტა იყო, შემდეგ ეს ტენდენცია გრძელვადიანში გადავიდა. ბატონი გახარია და ბატონი კეზერაშვილი დღესაც კი თანამშრომლობენ. საკანონმდებლო ინიციატივებიც კი კეზერაშვილის გამო გამოაქვს გახარიას საპარლამენტო გუნდს.

*– გახარიაც ჩართული იყო ამ სქემაში, თუ რისი თქმა გსურთ?*

– გახარიას პრემიერობის დროს, მისი ძალოვანი მინისტრების პირობებში მოხდა სწორედ ამ ქოლცენტრების დაფუძნება და გაშლა მთელ ქალაქში. პანდემიის პერიოდი იქნა მაქსიმალურად გამოყენებული იმისთვის, რომ კეზერაშვილის აეწყო ეს ქოლცენტრების სქემა, გახარიას ძალოვანი მინისტრების თუ მათი მოადგილეების დახმარებით.

**„გახარიას პრემიერობის დროს, მისი ძალოვანი მინისტრების პირობებში მოხდა ქოლცენტრების დაფუძნება და მთელს ქალაქში გაშლა“**

*– ლადო, სწორედ გახარიას გუნდის წევრებმა მოითხოვეს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, ამ საქმის გამოძიება და თვითონ თუ გასვრილები არიან, რაში აწყობთ ამ საქმის გამოძიება? სადაა აქ ლოგიკა?*

– რატომ შემოაქვთ ეს ინიციატივა მაინცდამაინც მათ, ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. ყველაზე მეტად ქურდს ეწვის ქუდი. მათ სჭირდებათ, რომ სრული ინფორმაცია ჩაიგდონ ხელში, რომ მერე სხვებიც ამხილონ.

*– და ამ ყველაფერში დღევანდელი ხელისუფლება არაფერ შუაშია?*

– რა თქმა უნდა, არის. როდესაც გახარია წავიდა და მოვიდა ღარიბაშვილი, შემდეგ ღარიბაშვილის ძალოვნებმაც, ზოგადად, როგორც ხდება ხოლმე ეს ბიზნესი, ერთი მთავრობიდან მეორემ გადაიბარა. რეალურად სერიოზული ცვლილება არ ყოფილა. გუნდის ერთმა ლიდერმა გადაიბარა მეორესგან. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დღევანდელ ძალოვნებს და თუნდაც პრემიერს, არ სურდა ამ საქმის გახეთქვა.

*– რატომ?*

– იქიდან გამომდინარე, რომ ამით ლაქა ედებოდა მთელს სისტემას. სისტემური დანაშაულია! ეს არ არის ერთი კონკრეტული საქმის ამბავი. სისტემურია ეს ყველაფერი, გრძელდება უკვე რამდენიმე წელია. მინიმუმ 4-5 წელია, ქალაქში ჩვენ ეს ამბავი გვესმოდა. პირდაპირ გეტყვით, მეც ვიყავი ერთ-ერთ გასაუბრებაზე მისული. ძალიან მომხიბლა იმ ხელფასმა, რა ხელფასსაც იქ მთავაზობდნენ. თუმცა, როდესაც მივედი, სიტუაცია ძალიან არ მომეწონა. ის ფაქტი, რომ ეს დაწესებულებები არ იყო საჯარო დაწესებულებები და დახურული სისტემით მოქმედებდა. შიდა სამეგობროდან და ასე ნაცნობობით ვრცელდებოდა ვიწრო წრეში ამბავი. ამ ყველაფერმა დამაეჭვა. თუმცა იმას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ამხელა მაქინაციას ჩადიოდნენ. ძარცვავდნენ ევროპელ პენსიონერებს. თუმცა მე იქ შევატყვე, რომ მუშაობა არა მარტო ევროპელებზე, არამედ შიდა მომხმარებელზე, ქართველებზეც მიდიოდა.

*– ლადო, ძალიან ბევრი ადამიანი გასვარესო. ძირითადად სტუდენტები და ახალგაზრდა თაობა ჰყავდათ დასაქმებულიო. ძალიან მასშტაბურ სახეს ხომ არ მიიღებს ეს საქმე?*

– კი, ასე იქნება. მთელი თბილისის ახალგაზრდობა, ვინც გამართულად საუბრობდა უცხო ენაზე, ნებისმიერი, რუსული იქნებოდა, ინგლისური თუ გერმანული, ნებისმიერი დასაქმდებოდა და საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას იღებდა. იმხელა ანაზღაურებას, რომ შეეძლოთ ერთ თვეში ბინა ეყიდათ თბილისში. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა თანხებზეა საუბარი.

*– სწორედ ამიტომ ვისმენთ შეფასებებს, რომ გამორიცხულია ხელისუფლების მფარველობის გარეშე რამე გამოსულიყო.*

– მეც მოგყვებით მაგ შეფასებებში. დიახ, დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი, სწორედ რომ ძალოვნების კურთხევით იქნა ფრთაგაშლილი. პანდემიის პერიოდში მოხდა ამ სქემის გაღვივება და გახარიას და კეზერაშვილის ეს ბიზნესი და სქემა, ახალმა პრემიერმაც მოირგო და არც ძველები არ დაწვა. მე სწორედ ასე ვუყურებ ამ ამბავს. ამიტომ ვუწოდე ამას სისტემური დანაშაული. ახლა რომ არ გამსკდარიყო, შეიძლება კიდევ სხვა პრემიერი მოსულიყო და იმას გადაებარებინა.

*– რამდენად სკანდალური იქნება ეს საქმე და გადაიყოლებს თუ არა ყველას? ძველსაც და ახალსაც?*

– ძალიან სკანდალური საქმეა. სხვაც ბევრი სკანდალური საქმე გვსმენია, მაგრამ ეს არის ძალიან დიდი მასშტაბის.

*– დიდი მასშტაბისო და რამდენად ჰქონდათ ბიძინა ივანიშვილის თანხმობა? უშვებთ, რომ მის ზურგს უკან იმოქმედებდა ვინმე?*

– თუ ჩვენ ვთანხმდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი არის „ქართული ოცნების“ სულის ჩამდგმელი, ვერ წარმომიდგენია, რომ ის არ ყოფილიყო საქმის კურსში. თვითონ თუ არა, მისი უახლოესი გარემოცვიდან, წარმოუდგენელია, ეს არ სცოდნოდა ვინმეს.

*– რამდენად გაწირავს კეზერაშვილი ყველას?*

– დღეს კეზერაშვილს აქვს ინფორმაცია მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებულები გახარიას პრემიერობის დროს. მას შემდეგ, რაც გახარია წავიდა ხელისუფლებიდან, კეზერაშვილმა დღევანდელ „ქართულ ოცნებასთან“ ვერ დაალაგა სიტუაცია. სწორედ ამიტომ ითხოვენ ახლა საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომ დანარჩენებზეც ჰქონდეს ინფორმაცია და ყველა ჩაიყოლოს სამარეში. ახლა რომ ალაპარაკდეს, გამოდის, რომ თავისივე პარტნიორებს ურტყამს. ამ ეტაპზე ამიტომაც დუმს. კეზერაშვილი მიდის ვა ბანკზე, თავის თავს წირავს, თუმცა უნდა ყველა გადაიყოლოს. სხვებიც ისეთივე ტალახში გასვაროს, როგორც თვითონ გაისვარა.

*– პროცესების როგორ განვითარებას ელით?*

– წესით, ვიღაცის თავი უნდა გაგორდეს.

*– ვისი თავი?*

– იმ ადამიანის, რომელიც იყო გახარიას პრემიერობის დროს და არის ახლაც და უჭირავს საკვანძო თანამდებობა. სწორედ ასეთი ადამიანის თავი უნდა გამოაგოროს „ოცნებამ“.

*– ანუ საჭიროა განტევების ვაცი?*

– კი, ასეა. იცით როგორ არის, მგლების ხროვამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი მგელი შეიჭამოს, რომ დანარჩენები გადარჩნენ. „ოცნება“ ვიღაცას აუცილებლად გაწირავს და ეს იქნება მაღალი თანამდებობის პირი.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ ოლიგარქია და მთელ ოპოზიციას და ტელევიზიას ნაძარცვი ფულით აფინანსებს“



– „ბიბისის“ გამოძიების გასაჯაროებამდე რამდენიმე კვირით ადრე კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ ოლიგარქია და მთელ ოპოზიციას და ტელევიზიას ნაძარცვი ფულით აფინანსებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ საგამოძიებო სამსახურებთან და საბოლოო ჯამში, ნათელი მოეფინება ყველაფერს.

– ჩვენ ვხედავთ უსუსურ მცდელობას ისედაც გაკოტრებული, ხელმოცარული ოპოზიციის მხრიდან, რომ რამენაირად ეს დიდი სკანდალი, მსოფლიო დონის, მე ასე ვიტყოდი, საერთაშორისო მასშტაბის თაღლითობის სქემა, რომელიც იქნა გაშიფრული და „ბიბისის“ მიერ იქნა გამოძიებული, მე ვგულისხმობ კეზერაშვილის მიერ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულს, ე.წ. ქოლცენტრების სქემის აწყობას, რომლითაც მილიარდი დოლარი იქნა მოპარული. ჩვენ ამას ვამბობდით, გახსოვთ, რომ მილიარდი და დადასტურებულია „ბიბისის“ გამოძიების შედეგად, თქვენ ნახეთ, რომ კეზერაშვილმა და მისმა თაღლითებისგან შემდგარმა ბანდამ გაძარცვა მთელი ევროპის პენსიონერები. 1 მილიარდი დოლარი არის მოპარული. აი, ამხელა სკანდალის გადაფარვას ცდილობენ ეს არასერიოზული ადამიანები. რა თქმა უნდა, ეს საინტერესო არ არის.

საინტერესოა ის, რომ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების, ევროპის ქვეყნების პენსიონერებისგან, ამ კაცმა და მისმა კომპანიებმა მოიპარეს 1 მილიარდი დოლარი. საერთოდ, რაზეა საუბარი?! მთავარი მინდა ვთქვა. თქვენ იცით, რომ კეზერაშვილი, რამდენიმე კვირით ადრე, სანამ ეს ფაქტი იქნებოდა გასაჯაროებული, გამოვიდა და ფაქტიურად დაადასტურა, რომ იგი არის ოლიგარქი, რომელიც აფინანსებს მთელ ოპოზიციას, სამწუხაროდ, თქვენს ტელევიზიასაც, ყველას და ნაძარცვი ფულით აფინანსებს აი ამ მთელ ოპოზიციურ მოძრაობას. თქვენ ბრალდებებს კი არა, ყველაზე ამორალურს, ცილს სწამებთ ადამიანებს. რა ბრალდებაზე ლაპარაკობთ, კაცი გამოვიდა, თავად აღიარა, რომ მე ვაფინანსებ ყველას და მე დავაფინანსებო. ეს ერთი. მთავარზე მინდა გავაკეთო, ყველა ოპოზიციური არხი, ძირითადად, ეს ყველასთვის ძალიან კარგად არის ცნობილი, მე ვარ პრემიერ-მინისტრი და თქვენზე მეტი ინფორმაცია მაქვს.

მთავარი თემა არის შემდეგი, რომ საზოგადოებამ ვერ მოისმინა პასუხი, ახსნა-განმარტება, რომ აი ასეთი საუკუნის ძარცვა იქნა ჩადენილი კეზერაშვილის მიერ და ეს კაცი ჯერ კიდევ გამოთქვამს პრეტენზიას და მის მიერ დაფინანსებული ოპოზიციური პარტიები გამოთქვამენ პრეტენზიებს, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ეს არის შემაშფოთებელი. თქვენ ამაზე უნდა დასვათ კითხვები და ჩვენმა ხალხმა უნდა მიიღოს პასუხები. ისევე როგორც, მე მჯერა, რომ ევროპული საგამოძიებო სამსახურები ამ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე. თქვენ იცით, რომ გერმანულ გამოძიებასთან ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლეთ ბოლო 2 წლის განმავლობაში, ჩვენ ძალიან ბევრი ფაქტი გამოვიძიეთ ერთად, გავხსენით და, საბოლოო ჯამში, ნათელი მოეფინა ამ რეალობას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

– თურმე მიუღებელია ჩემ მიერ გაკეთებული განცხადებები, რაც მე ვთქვი, რომ მიუღებელია ლგბტ პროპაგანდა ბავშვებში, სკოლებში, ბაღებში და რომ მიუღებელია ეს აღვირახსნილი, აგრესიული პროპაგანდა, რაც შეეხება გენდერს და სქესის გადაკეთებას. თუ ამის გამო ვიღაცას არ უნდა ჩვენს პოლიტიკურ პარტიასთან, მმართველ ძალასთან თანამშრომლობა, ეს მათი სურვილია, ჩვენც შესაბამისად გადავხედავთ მათთან თანამშრომლობას, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამის თაობაზე იქნება მსჯელობა პოლიტსაბჭოს ფორმატში.

– ამის თაობაზე ჩვენ გვექნება მსჯელობა პოლიტსაბჭოს ფორმატში და ჩვენ პარტიასთან უკვე დავიწყეთ დიალოგი და კონსულტაციები პარტიის შიგნით. ჩვენც გავაკეთებთ დასკვნებს, შეიძლება იმაზე ადრე, ვიდრე სოციალისტები შეიკრიბებიან ივნისში. მე ერთი რამ მინდა ვთქვა: ზოგიერთმა დაპოსტა თუ გამოაქვეყნა განცხადება, იმის გამო, რომ მე მივიღე კონსერვატიულ მოძრაობაში, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის და ძალიან ბევრი პრეზიდენტი, მათ შორის, პრეზიდენტი რეიგანი იყო პირველი სპიკერი ამ კონფერენციის, თურმე ეს არის მიუღებელი მათთვის, თურმე მიუღებელია ჩემ მიერ გაკეთებული განცხადებები, რაც მე ვთქვი, რომ მიუღებელია ლგბტ პროპაგანდა ბავშვებში, სკოლებში, ბაღებში და რომ მიუღებელია ეს აღვირახსნილი, აგრესიული პროპაგანდა, რაც შეეხება გენდერს და სქესის გადაკეთებას. თუ ამის გამო ვიღაცას არ უნდა ჩვენს პოლიტიკურ პარტიასთან, მმართველ ძალასთან თანამშრომლობა, ეს მათი სურვილია. ჩვენც შესაბამისად გადავხედავთ მათთან თანამშრომლობას“, – განაცხადა პრემიერმა.

## სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 46 მოზარდი – სამი თვის საგანგაშო სტატისტიკა

მხოლოდ სამ თვეში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 46 არასრულწლოვანი გახდა – მოზარდების გაუპატიურების შემთხვევები წინა წელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა. ეს საგანგაშო მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკიდანაა. აქ მოხვდა ინფორმაცია, რომელიც პოლიციისთვის ცნობილია, თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობაზე მოზარდები შიშის გამო არ საუბრობენ და დანაშაულს მალავენ.



როგორ მივიდა ქვეყანა ამ უმძიმეს რეალობამდე და ხომ არ გახდა დაუსჯელობის სინდრომი ძალადობის წახალისების საფუძველი? ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა ვანში მოხდა. ამბის გასაჯაროებიდან რამდენიმე დღე გავიდა, თუმცა ამ დრომდე თავისუფალია კაცი, რომელიც გარყვნილ ქმედებაშია მხილებული. გავრცელებული ინფორმაციით, მას ხელს სუს-ის მაღალჩინოსანი აფარებს. პოლიციელები კი ძალადობის მსხვერპლი მოზარდების ოჯახის წევრებს აშანტაჟებენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – კლარა პილაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია ისე იქცევა, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კიდევ დიდხანს დარჩება“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იქნება მარტივი არჩევნები, ივანიშვილის დანიშნული კაცი ჩაატარებს არჩევნებს. ეს იქნება სუფთა საბჭოური არჩევნები“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, საარჩევნო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები თქვენთვის რა გზავნილია?***

– დაგეგმილი ცვლილებები პირდაპირ საბჭოური არჩევნების დაკანონებას მოგვიტანს. ორი უმთავრესი რეკომენდაცია არსებობს ევროკავშირის მხრიდან: 12-პუნქტიანი გეგმის გათვალისწინებით. ეს ეხება თავისუფალ სასამართლოსა და სამართლიან არჩევნებს. ორივე საკითხთან დაკავშირებით როგორ იქცევა მმართველი პარტია, ყოველგვარი ზედმეტი ანალიზის გარეშე არის გასაგები. ეს ხელისუფლება შეგნებულად ართმევს ქვეყანას ევროპულ პერსპექტივას. სხვა მიზეზი შეუძლებელია იყოს.

სამართლიან არჩევნებს რომ არ ემსახურება ეს ცვლილებები, გასაგებია. 76-მა უმრავლესობის დეპუტატმა „უნდა აირჩიოს ცესკოს თავმჯდომარე. ეს ნიშნავს საბჭოური ცესკოს პირდაპირ დაკანონებას და ამ ცესკოს მიერ საბჭოური არჩევნების ჩატარებას. ერთადერთი განსხვავებით, ჯერ პარტიების არჩევნებში მონაწილეობა არ არის აკრძალული. თუმცა 5%-იანი ბარიერი და ვითომ ორპარტიულობა სწორედ ამას ნიშნავს.

***– როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის ამ ცვლილების მიზეზი. ბევრი პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებაზე მიანიშნებს.***

– არა, მიზეზი ხელის გულზე დევს: ეტყობა, ძალიან ეშინიათ არჩევნების. როგორც ჩანს, კატასტროფულად დაბალი რეიტინგი აქვთ. ისეთი დაბალი, რომ მათივე ძალებით გაყალბება, როგორც ეს გააკეთეს ბოლო სამი არჩევნები, არ ეყოფათ. არ უშველით. ამიტომ საჭირო გახდა სპეცოპერაცია. საკუთარი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა ჰყავდეთ, რომ პირდაპირ მან აკონტროლოს სიტუაცია.

ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგია. აშკარად გამოჩნდა, რომ რეალურად ბიძინა ივანიშვილის ძალაუფლებას საფრთხე შეექმნა. სერიოზულად არიან შეშინებულები და დასჭირდათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ის გაყალბება აღარ ეყოფათ, რომელიც აქამდე აპრობირებული ჰქონდათ. ახლა ეს უნდა დააკანონონ! ყველა გზითა და ყველა ხერხით იბრძოლებენ.

მთელ მსოფლიოს და, რაც მთავარია, ევროკავშირს ეუბნებიან, რომ საკუთარი ცესკოს საკუთარი თავმჯდომარე და წევრები ეყოლებათ. 100 დეპუტატიც კი არ აირჩევს, უბრალო უმრავლესობა, 76 დეპუტატი. ამაზე ღია გზავნილი რა უნდა იყოს, რომ მათ ეშინიათ არჩევნების წაგების.

***– 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იქნება მარტივი არჩევნები. გასაგებია, რთული ბრძოლა იქნება და ამისთვის „ოცნება“ ემზადება. რამდენად ემზადება ოპოზიცია?***

– არც ერთი პარტია, გარდა „ლეიბორისტებისა“, საარჩევნო კოდექსსა და ქუჩაში ბრძოლაზე არ საუბრობს. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის თამაშებს, აბა რა გითხრათ. ეს ხალხი ვერა და ვერ შორდება სკამებს. გაჭედილები არიან. ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს, არ ვიცი. ყურმოჭრილი მონა ეყოლება ერთ პარტიას ცესკოს თავმჯდომარედ. ამ ერთი პარტიის დაკვეთითა და მითითებით ჩატარდება ყველა არჩევნები. ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ იქნება სამუდამოდ ხელისუფლებაში. მას ვერავინ ვერ შეცვლის. შენ შეიძლება შეცვალო, მაგრამ ქაღალდზე სხვა ციფრები იქნება დაწერილი. ამაზე ვლაპარაკობ.



საპარლამენტო ოპოზიციას ამ საკითხამდე მოსამართლეების საკითხი ჰქონდა პარლამენტის დატოვების მიზეზი. შეუძლებელია, ასეთი რამე მოხდეს, მოსამართლეები დაასანქციროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ამ საკითხზე საგამოძიებო კომისიას არ გაქმნევინებდნენ და კიდევ პარლამენტში იჯდე. რას აკეთებენ, არ ვიცი. რატომ არ გამოდიან ქუჩაში, რატომ არ იბრძვიან ხალხთან ერთად ქუჩაში, ვერ გეტყვით.

დარწმუნებული ვარ, საარჩევნო კოდექსის ცვლილებებიც გავა ამ პარლამენტში და ოპოზიცია ისევ გააგრძელებს მშვიდი სახით საპარლამენტო თამაშებში მონაწილეობას. სხვა რა არის ეს, თუ არა „ქართული ოცნების“ გამაგრება. ამათი გამაგრება არაფერში არ სჭირდებათ, ისედაც იმაგრებენ ყველა პოზიციას. ისე ამაგრებენ ყველაფერს, რომ სამუდამოდ აპირებენ ხელისუფლებაში დარჩენას. ამაზე იდეალური მდგომარეობა რა უნდა იყოს, რომ ოპოზიციამ ქუჩაში იბრძოლოს. ამაზე დიდი საბაბი რაღა უნდა იყოს. ერთი კაცის დანიშნული კაცი ჩაატარებს არჩევნებს. ეს იქნება სუფთა საბჭოური არჩევნები. ამაში ეჭვი ხომ არავის არ ეპარება?! მერე ვოლსკი გამოვიდეს და ილაპარაკოს აპრობირებულ მეთოდზე. ეს არის პირდაპირ ევროპული გზისთვის უარის თქმა. ამ გზიდან გადახვევა კი არა, უარის თქმა! ბოლო შანს გვართმევს ქართველ ხალხს „ქართული ოცნება“. ამას ვერ აცნობიერებს საპარლამენტო ოპოზიცია.

***– პასუხი პარლამენტის დატოვება უნდა იყოს?***

– რა თქმა უნდა! ამაზე უკვე დაფიქრებაც აღარ არის საჭირო. ამას უკვე უნდა აკეთებდნენ და ქუჩაში უნდა იდგნენ. კოდექსის დაგეგმილი ცვლილებები უნდა იყოს კატალიზატორი.

# პრემიერი: „უკრაინას და უკრაინელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას და ამ დიდი, დამანგრეველი ომის მალე დასრულებას“

– არახამიაზე, ვიღაც არარაობაზე თქვენ გინდათ, რომ მე გავაკეთო კომენტარი. მე არახამიას ნათქვამზე, რა თქმა უნდა, სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ერთი მინდა ვთქვა – მე უკრაინას და უკრაინელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას და ამ დიდი, დამანგრეველი ომის მალე დასრულებას, – განაცხადა პრემიერმა.



მთავრობის მეთაურმა უკრაინას საკუთარი ტერიტორიების დაბრუნება და მშვიდობა უსურვა.

– კიდევ ერთხელ მინდა ერთი რამ ვუთხრა საზოგადოებას, ესაა კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ თქვენ მიერ ნათქვამი ადამიანი და ჩვენი ექსტრემისტული, რადიკალური ოპოზიცია არიან სრულ კოორდინაციაში, იყვნენ ომამდეც, ომის შემდეგაც და ძლესაც ერთადერთი მიზნით, რომ აქ რაიმე მომხდარიყო, გადატრიალება, ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა, რომ მოეყვანათ ის ფაშისტური, ნეოფაშისტური რეჟიმი, რომელიც მართავდა ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ ძალიან ბევრი ფაქტი ვნახეთ, საზოგადოებამ ძალიან ბევრი ფაქტი ნახა ამ კოორდინაციის, შეთანხმებული მოქმედების და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი არახამია არის ჩართული პირდაპირ ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და მას არავინ ეკითხება, აქ ჩვენ, ჩვენი ხალხი და ჩვენი მთავრობა როგორ მოვაწყობთ ზოგადად ჩვენს საქმეს და ჩვენს პოლიტიკას. მიხედოს ბატონმა არახამიამ თავის თავს. ერთი რამ მინდა ვთქვა, უკრაინას ვუსურვებ საკუთარი ტერიტორიების დაბრუნებას, მშვიდობას და ამ ომის მალე დასრულებას, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 1%-იანი, ხელმოცარული, გაკოტრებული, ანტიეროვნული ძალები, ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს ვერ მოაწყობენ, ხალხი ბრძენია და ძალიან კარგად ხედავს, რაც ხდება.

– ზურა ჯაფარიძე, რომ ავილოთ, ეს ადამიანი არის 1%-იანი პარტიის ლიდერი. რამდენად დიდ უტოპიაშია ეს ადამიანი და როგორ წამლავს საზოგადოებას, ეგ ცალკე საკითხია, თავის ახალგაზრდებს და მის მიერ შემოკრებილ, თავისი იდეების, აზრების გამზიარებლებს. რა თქმა უნდა, შეიძლება მის ამ განცხადებებს ვუწოდო სისულელე და უბრალოდ არასერიოზული, ვინაიდან ეს 1%-იანი, ხელმოცარული, გაკოტრებული, ანტიეროვნული ძალები, ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს ვერ მოაწყობენ. ჩვენი ხალხი ბრძენია, ძალიან კარგად ხედავს, რაც ხდება და ჩვენ მთავარი შევინარჩუნეთ, ჩვენ შევინარჩუნეთ მშვიდობა და არა მხოლოდ შევინარჩუნეთ, ჩვენ ქვეყანა გადავარჩინეთ. აი ეს ნეოფაშისტები და ასეთი ულტრარადიკალები რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, ვინმეს ეჭვი გეპარებათ, რომ დღეს აქ მშვიდად გამოვიდოდით?! ქვეყანა აღარ გვექნებოდა, მეგობრებო. ქვეყანას ესენი მეორე პოლიგონად გადააქცევდნენ. ეს იყო მიზანი. ახლა ბატონი მეკითხებოდა, რომ არახამიას უნდოდაო, არახამიას კი არა, უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი საჯაროდ გამოვიდა, თქვენ გახსოვთ, თქვა, რომ ჩვენ, ანუ მათ უნდოდათ მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში.

თქვენ ქართველები ხომ ხართ?! ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ხომ ხართ?! ამაზე რატომ

არ შეგტკივათ გული?! ვიღაცას, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, თქვენს ქვეყანაში უნდოდა მეორე ფრონტის გახსნა, ანუ ჩვენი ქვეყნის პოლიგონად გადაქცევა, რაც ხდება, კი უყურებთ უკრაინაში და თქვენ ამაზე პროტესტიც კი არ გაქვთ, რეაქცია არ გაქვთ, პოზიციას არ გამოხატავთ და იმეორებთ ერთსა და იგივეს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# გიორგი ვაშაძე: „ჩემი ინფორმაციით, სუს-ისა და შსს-ს ხელმძღვანელები გერმანიაში იყვნენ დაბარებულები“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის თქმით, სუს-ის ხელმძღვანელი და შს მინისტრი ქოლცენტრების საქმეზე მიმდინარე საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში, გერმანიაში იყვნენ დაბარებული.

ამის შესახებ ვაშაძემ პარლამენტში განაცხადა და თქვა, რომ ლილუაშვილსა და გომელაურს გერმანელი სამართალდამცველებისთვის ჩვენებების მიცემა მოუწიათ.

– ჩემი ინფორმაციით, სუს-ის ხელმძღვანელი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გერმანიაში დაბარებულიც კი იყვნენ ამ საქმეებთან დაკავშირებით. ჩასულები იყვნენ და ჩვენებების მიცემა მოუწიათ იმ თაღლითურ სქემებზე, რომელიც მათი თაოსნობით არის აგებული საქართველოში ქოლცენტრებთან დაკავშირებით, – თქვა გიორგი ვაშაძემ.

რაც შეეხება ვინმე არახამიას გვარს – „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი სუს-ის მიერ მოწყობილ პროვოკაციაზე საუბრობს და ამბობს, რომ გამოყენებულ იქნა ვინმე მიხეილ არახამია, რომელიც დავით არახამიას ნახევარძმაა, თუმცა რადას უმრავლესობის ლიდერთან 30 წელია კონტაქტი არ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ 5 მაისს სამართალდამცველებმა აღმაშენებლის გამზირზე სავარაუდოდ ქოლცენტრების საქმეზე სპეცოპერაცია ჩაატარეს. პოლიციელები ადგილზე რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ. პოლიციელებმა სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე ერთი ოფისი და მესამე სართული მთლიანად დალუქეს.

„ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტების გავრცელებული ინფორმაციით, შენობაში განთავსებული იყო ე.წ. ქოლცენტრი, რომელიც სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერს – გიორგი ვაშაძეს ეკუთვნოდა. მოგვიანებით, გაირკვა, რომ აღმაშენებლის 75-ში მდებარე სამსართულიანი შენობის მფლობელი შპს „მისანი“ აღმოჩნდა,



რომლის 25%-იან წილსაც გიორგი ვაშაძის ძმა – დავით ვაშაძე ფლობდა. თუმცა დავით ვაშაძემ მალევე განმარტა, რომ მის მფლობელობაში შენობის მხოლოდ მეორე სართულია, სადაც მას სასტუმრო აქვს გახსნილი. სხვა ოფისების შესახებ კი მას ინფორმაცია არ აქვს.

## ბოლნისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

ბოლნისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. მამაკაცი, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ბოლნისის სტადიონზე ორ მამაკაცს შორის დაწყებული სიტყვიერი შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა.

არსებული ინფორმაციით, მოკლულს ჭრილობა სანადირო თოფიდან აქვს მიყენებული, ის საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

## გლდანში 9 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა

გლდანში 9 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა. ინფორმაციას ამის შესახებ „მეტრონომი“, გლდანის ერთ-ერთ ჯგუფზე დაყრდნობით ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

## სენაკში სამშენებლო მასალების მაღაზია დააყაჩაღეს

სენაკში სამშენებლო მასალების მაღაზია დააყაჩაღეს. შემთხვევა დაახლოებით დღის 4 საათზე მოხდა. მაღაზიაში ნიღბიანი შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და არსებული ინფორმაციით, 30.000 ლარამდე თანხა წაიღეს. ცნობილია, რომ ისინი მანქანით გადაადგილდებოდნენ, ჯერჯერობით დაკავებული არავინაა. შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

## გამვლელის სწრაფმა რეაქციამ დაგორებულ ეტლში მყოფი ბავშვი გადაარჩინა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ გასპერიაში გამვლელის უსწრაფესმა რეაქციამ გადაარჩინა ბავშვი, რომელიც დაგორებულ ეტლში იმყოფებოდა და რომელიც მანქანების სავალი გზისკენ მიგორავდა.

ბებიას, რომელიც ბავშვს ყურადღებას აქცევდა, ფეხი დაუცდა და წაიქცა, შედეგად კი საბავშვო ეტლზე ხელი გაეშვა და ის დაგორდა საავტომობილო გზისკენ, რომელზეც გაცხოველებული მოძრაობა იყო. ქალი შეეცადა ეტლისთვის ხელი ეტაცა და შეეჩერებინა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. თუმცა ამის გაკეთება მოასწრო შემთხვევითმა გამვლელმა რონ ნესმანმა.

აღნიშნული შემთხვევა ქუჩის სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. როდესაც ამის ამსახველი ვიდეორგოლი სოციალურ ქსელში იქნა განთავსებული, მან უმოკლეს დროში 49 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა. გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს ფეხზე წამოდგომას წაქცეული ქალი, რომელსაც ორივე მუხლიდან სისხლი სდის. ამ დროს კი მოულოდნელად მიირბენს მამაკაცი და საბავშვო ეტლს აჩერებს. მეორე გამვლელი კი ქალთან მიდის და ფეხზე წამოდგომაში ეხმარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსეთის მმართველი ელიტა ფსკერისკენ მიმავალი წყალქვეშა ნავის გუნდია“

## „ადამიანებს, რომლებსაც წასვლის უფლება მისცეს, ლაპარაკი აუკრძალეს“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს პოლიტიკუმის რეპერტუარულ თემად დასავლეთის კრიტიკა და ლანძღვა რჩება. ამ პირობებში საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის აგრესორი რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. ვინ დარჩა პუტინის გარემოცვაში? რას წარმოადგენს რუსეთის მმართველი ელიტა? რატომ „ხტებიან“ ადამიანები (უმეტესად, მსხვილი მენეჯერები) მაღალსართულიანი სახლების ფანჯრებიდან? ვინ დაიკარგა კრემლის ადმინისტრაციაში? ამ და სხვა საკითხებზე რუსულ რადიო თავისუფლებასთან მსჯელობს ბერლინში მოღვაწე მკვლევარი ნიკოლაი პეტროვი.

***– ომის დაწყებიდან ერთი წლისა და სამი თვის გასვლის შემდეგ გაკვირვებას იწვევს რუსეთის ელიტის კონსოლიდირებულობა. მასში განხეთქილება თითქმის არ შეინიშნება. ერთადერთი, ვინც გაუშვეს, ესაა კუდრინი და ჩუბაისი. რა აკავებს ამ ხალხს ერთად – ლოიალურობა თუ შიში?***

– ომის დასაწყისში მეც ასევე გაოცებული ვიყავი. მერე ყურადღება მივაქციე, რომ ამ ელიტაში მთელი რიგი ფენები და ჯგუფები (სამხატვრო, სამსახიობო და სხვა) ისე არ იქცევიან, როგორც მმართველი ელიტა იქცევა. ადამიანები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებლები არიან, ახდენენ დამოუკიდებლობის დემონსტრირებას.

***– ჩვენი საუბარი, პირველ რიგში, მმართველ ელიტას ეხება. ისეთი განცდა გვექმნება, თითქოს ისინი არიან ბაჭიები მახრჩობელა გველის წინაშე.***

– მე მათ შევადარებდი ფსკერისკენ მიმავალი წყალქვეშა ნავის გუნდს. არ ჩანს, რომ მათ რაღაც ხარისხის თავისუფლება აქვთ. შიშს ამას ნაწილობრივ ვუკავშირებ. თუმცა, შიშის საფუძველიც არსებობს. შარშან ვიხილეთ საშინელი ანგარიშსწორება ადამიანებზე. აშკარაა, რომ ეს იყო სიგნალები მმართველი ელიტის მიმართაც. ნაწილობრივ ამ ყველაფერს იმასაც ვუკავშირებ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ნომენკლატურული ელიტების დეგრადაცია: მათ, ვინც დღეს ნომენკლატურული ბიუროკრატიული სისტემის ხერხემალია, დიდი ხანია გააკეთეს არჩევანი. 24 თებერვალი (რუსეთის უკრაინაში შეჭრა) მათთვის რაღაც რუბიკონი არ ყოფილა.

***– სიგნალები აღნიშნეთ. ეტყობა, შემთხვევითი არ ყოფილა მსხვილი მენეჯერების თვითმკვლელობების წყება, მათ შორის, ნავთობკომპანიებში?***

– რასაკვირველია, ეს არაა შემთხვევითი. ეს გარკვეულად მოგვაგონებს 90-იანი წლების დასაწყისს, როცა პარტიის ფულთან დაკავშირებული ადამიანები სახლების მაღალი სართულებიდან ვარდებოდნენ. მკვლელობები არავის გამოუძიებია. იდუმალებით მოცული სიკვდილია, როცა მაღალი თანამდებობის პირი „ლუკოილიდან“ ილუპება ვაგიპ ალეკპეროვის დაბადების დღეს.

***– ჩუბაისის ავადმყოფობასაც ახლავს საიდუმლო?***

– სიტუაცია ბუნდოვანია. იმ ადამიანებს, რომლებსაც მიეცათ უფლება, დატოვონ წყალქვეშა ნავი, პირობად წაუყენეს დუმილი.

***– პუტინის კარის უმაღლესი ფენის უძრაობაც გაოცებას იწვევს. კოვალჩუკი, პატრუშევი, როტენბერგი, სეჩინი, ჩემეზოვი – უცვლელი რჩება 8-10 პირი, რომლებიც დაახლოებული არიან იმპერატორთან.***

– მართალია. ბევრ რამეს შემდეგ გავიგებთ. დღეს კი ვხედავთ, როგორ ქრება ადამიანი. კერძოდ, დიმიტრი კოზაკი. მისი ადგილი ფორმალურად შენარჩუნებულია, ფუნქციები კი გადანაწილებული.

***– ამასთან, მიმდინარეობს პუტინის გვარდიის, პირობითად, მისი დაცვის, დაწინაურება. გვახსოვს, რომ ასე წაიწიეს წინ ზოლოტოვმა, გარდაცვლილმა ზინიჩევმა, დიუმინმა. ახლა ეს სისტემად ჩამოყალიბდა.***

– ახლაც იგივე ხდება, რაც ხდებოდა ნულოვან (2000) წლებში, როცა პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა. მაშინ ვნახეთ პიტერელების, მერიის, ფსბ-ს თანამშრომლების აღმასვლა. რამდენიმე წელიწადია, რაც პუტინი იზოლაციაში იმყოფება. მასთან ცოტა ადამიანი კონტაქტობს. ის აწინაურებს მათ, ვისთანაც ურთიერთობს.

***– ოლიგარქები თანდათან ჩრდილში გადადიან? რა როლს ასრულებენ ფრიდმანი, ავენი, ალეკპეროვი, უსმანოვი და სხვები?***

– შევადაროთ ოლიგარქების ქცევა ბიუროკრატიულ ფენას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, შემოქმედებითი ინტელიგენციის მოქმედებებს. დავინახავთ, რომ ოლიგარქები უფრო ახლოს არიან ბიუროკრატიულ ფენასთან.

დამოკიდებულება, (ოლიგარქების ხელისუფლებაზე) რომელსაც ვაკვირდებით, ამართლებს მდიდარი ადამიანების წინააღმდეგ შემოღებულ პერსონალურ სანქციებს. ალეკპეროვმა და „ლუკოილმა“ განცხადებაში დაგმეს ომი. ამის შედეგად, კომპანიაში მესაკუთრეები შეავიწროვეს და დაიწყო მესაკუთრეთა უფლებების მცოცავი გადაცემა. შარშანდელი დაღუპვების (საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების) მნიშვნელოვანი ნაწილი „ლუკოილთანაა“ დაკავშირებული.

# „არასერიოზულია ყველას პრორუსი უწოდო, ვინც კონსერვატორთა კონფერენციაში მონაწილეობდა“

## დათო ლორთქიფანიძე: „მთელი მსოფლიო რესურსი ომის დასრულებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა ომის ესკალაციისკენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

***– ბატონო დათო, ევროპის სოციალისტური პარტიის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს ადგილი ევროპაშია, მაგრამ კონსერვატიულ პარტიას პროგრესულ ევროპულ ოჯახში არაფერი ესაქმება. თქვენ ეს განცხადება როგორ გაიგეთ?***

– ჩემთვის აღნიშნული განცხადება გაუგებარია. აღნიშნული თავყრილობა ევროპის შუაგულში, ძირძველ ევროპულ ქვეყანაში, უნგრეთში ჩატარდა, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ არანაირი მიულებლობა ამ განწყობას ევროპასთან არ უნდა ჰქონდეს. ეს მისი პირადი პოზიციაა და არა მგონია, გასაზიარებელი იყოს.

ევროპა, ისევე, როგორც დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიო, დემოკრატიულია. თავისი აზრის ფორმულირების, გამოთქმისა და მიწოდების უფლება ყველას აქვს, ოღონდ, არა ვინმეს დისკრიმინაციის ხარჯზე.

***– ევროპის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლის განცხადება დისკრიმინაციული იყო?***

– ამ შემთხვევაში ვერ ვხედავ, კონკრეტულად, ვისი დისკრიმინაცია იყო. ევროპის ერთიანი სოციალისტური პარტიის ვიცე-პრეზიდენტის განცხადება უფრო დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. კონსერვატორულად განწყობილი ადამიანები შეიკრიბნენ და ცივილურად, ერთმანეთთან თემები განიხილეს.

***– მოგეხსენებათ, ევროპის ერთიანი სოციალისტური პარტია ის ალიანსია, რომელშიც „ოცნებაა“ გაერთიანებული. ოპოზიცია ამ განცხადებამდეც საუბრობდა, „ოცნებას“ ევროპელი სოციალისტების ალიანსიდან უშვებენო. თქვენ რას იტყვით, ამის საფუძველი არსებობს?***

– სოციალისტებს თავისი რეგლამენტი და დებულება აქვთ, რასაც მმართველი პოლიტიკური ძალა იზიარებდა და დღესაც იზიარებს. თუ



რაიმე გასარკვევია, ვფიქრობ, დროულადაა საჭირო ზომების მიღება.

***– კონკრეტულად, რა ზომების მიღებაა საჭირო?***

– მმართველი პოლიტიკური ძალიდან საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ვინც არის – ამ შემთხვევაში პარტიის საერთაშორისო მდივანი იქნება თუ საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები – ჩაბრძანდნენ, ან სოციალისტების წარმომადგენლები საქართველოში მოიწვიონ და ყველა თემაზე იმსჯელონ.

საუბარში ჩნდება ჭეშმარიტება. არა მგონია, წინასწარ ნაჩქარევი დასკვნები უნდა გაკეთდეს. გადაწყვეტილება დისკუსიის შემდეგ უნდა მიიღონ. ასეთ საკითხებს კარგად განსჯა სჭირდება. რაც უფრო მალე გაკეთდება ეს, მით უკეთესი იქნება.

***– მოგეხსენებათ, „ქართული ოცნება“ ევროპის ერთიანი სოციალისტური ალიანსის წევრია, ნაცმოძრაობა – სახალხო პარტიის, ხოლო რესპუბლიკელები ლიბერალების ალიანსში არიან გაერთიანებული. რატომ აირჩია „ოცნებამ“ მაინცდამაინც ევროპის ერთიან სოციალისტურ პარტიასთან გაერთიანება?***

– გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული არ ვიყავი, მაგრამ ვფიქრობ, ის იდეები, რომელსაც ევროპელი სოციალისტები დეკლარირებენ, ყველაზე მეტად მისაღებია. ასეთი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღეს. თუ პოზიციები შეიცვალა, ამას დროულად გარკვევა სჭირდება, რათა მას გაუგებრობა არ მოჰყვეს.

***– ფაქტია, ჩანს, ევროპაში მაინც არის კონსერვატორული და ლიბერალური იდეების ჭიდილი.***

– რა თქმა უნდა, ასეთი ჭიდილი ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, მაგრამ დღეს თემები რატომღაც მეტად აჟიტირებულია. არ ვიცი, ამაზე რუსეთ-უკრაინის ომი მოქმედებს, დაძაბული გარემო, რომელიც ევროპაშია, თუ ის, რომ ევროპულ თანამეგობრობას ომის პირობებში მოქმედების გამოცდილება არ აქვს, მით უფრო, თავის შეხედულებებთან არათანხვედრილ პოლიტიკურ ძალებთან.

ეს ყველაფერი ევროპისთვის ხომ ახალია და გასული წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც რუსეთსა და უკრაინას შორის საომარი მოქმედებები გაჩაღდა. ამის გამოცდილება ევროპას არ აქვს. ამიტომ გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას ცივი გონებით რომ ვუყურებ, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

მთავარია, პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები ერთმანეთთან პასუხისმგებლობას არ გაექცნენ და წამოჭრილ თემებზე დისკუსიები უნდა გაიმართოს. დისკუსიები აქ გაიმართება თუ ევროპაში, ამას მნიშვნელობა არ აქვს. არა მგონია, გაბუტული პოზიციიდან რაიმე სასიკეთო გამოვიდეს.

***– თქვენ ომი ახსენეთ. კონსერვატორული იდეებით იქნებიან ადამიანები აღჭურვილი თუ ლიბერალურით, უკრაინასთან ომში რუსეთი ყველას ანადგურებს.***

– რა თქმა უნდა... მსოფლიოში მშვიდობამ უნდა დაისადგუროს. სადაც ბომბი ჩამოვარდება, ის ერთმანეთისაგან არც ლიბერალს არჩევს და არც – კონსერვატორს. ამიტომ მსოფლიოსა და ევროპისთვის ნომერ პირველი ამოცანაა ომის შეწყვეტა. მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ ამაზე უნდა იზრუნოს. მთელი რესურსი ომის დასრულებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა ომის ესკალაციისკენ.

მესმის, რომ ერთი მხარე უკან არ იხევს, ხოლო მეორე მხარე თავს იცავს, რადგან მტერი თავს დაესხა და თავის ტერიტორიულ მთლიანობას შეეხო, მაგრამ შეიარაღების ესკალაციითა და კიდევ უფრო მილიტარიზაციით, მშვიდობა ვერ დამყარდება.

ყოველი ჩამოგდებული ჭურვის უკან გაუბედურებული ადამიანები, მათ შორის, ბავშვები არიან. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც დღეს ევროპასა და მსოფლიოს უდგას და არა ის, პოლიტიკური ძალა სოციალისტების, კონსერვატორების, ლიბერალების, თუ რომელი მიმართულების მიმდევარი იქნება.

***– როდესაც კონსერვატორულ მიმართულებაზე ან კონსერვატორთა კონფერენციაში, უნგრეთში, ღარიბაშვილის მონაწილეობაზეა საუბარი, ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება პრორუსია. რა, რუსეთი კონსერვატიული სახელმწიფოა? რუსული სამყარო კონსერვატიული მიმართულებისაა?***

– გამიჭირდება პასუხი გავცე კითხვას, რუსეთი რა ტიპის სახელმწიფოა, მაგრამ იმას კი ვერ გავიზიარებ, უნგრეთში, კონსერვატორთა კონფერენციაში ვინც მონაწილეობდა, ტრამპიდან დაწყებული, ღარიბაშვილით დამთავრებული, პრორუსული პოლიტიკოსები ყოფილან. ვფიქრობ, ასეთი შეფასებები სერიოზულობისაგან შორსაა.

ამაზე ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანაშია ისტერია. ყველაფერს რუსულ თემას უკავშირებენ.

***– როდესაც კონსერვატორულ ღირებულებებს რუსეთს უკავშირებენ, ეს რუსეთის სახის გაკეთილშობილება ხომ არ არის? ან ამით რუსეთის სახის გაკეთილშობილებას ხომ არ ცდილობენ?***

– დამიჯერეთ, მაგ შედარებებს რომ აკეთებენ, დარწმუნებული ვარ, მათ რუსეთის გაკეთილშობილება ნამდვილად არ აქვთ იდეაში, მაგრამ ამ შეფასებებს რომ აკეთებენ, კითხვის ნიშანს მიტოვებს. ჩემთვის ძალიან რთული იქნება, რუსეთი შევაფასო, კონსერვატიული სახელმწიფოა თუ არა. სანამ ომი არ დასრულდება და მშვიდობა არ დაისადგურებს, შეფასებისაგან თავს შევიკავებ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანულ ფასეულობებს იზიარებს“

– აი, კლასიკური მაგალითი, როგორ ამახინჯებენ რეალობას ჟურნალისტები, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტს კითხვაზე – „ხართ თუ არა უმრავლესობის პრემიერი“.

მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტს მოუწოდა, საზოგადოებას ფაქტებით ესაუბროს. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ იგი არა უმრავლესობის, არამედ მთელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია.

– გასაგებია, რომ თქვენ დავალება გაქვთ. ახლაც დავალებას ილებთ თქვენ ტელეფონზე. მთავარი მინდა გითხრათ – კითხვას რომ სვამთ, უნდა მოიყვანოთ სიმართლე, ჭეშმარიტება, ფაქტებით უნდა ელაპარაკოთ საზოგადოებას, ესაა თქვენი პირდაპირი მოვალეობა.

მთავარი მინდა გითხრათ, მე არასოდეს მითქვამს, რომ მხოლოდ უმრავლესობის პრემიერ-მინისტრი ვარ, მე ვარ ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მე ვთქვი მთავარი და თქვენ ალბათ თუ დაიზეპირეთ ჩემი გამოსვლა, შეგიძლიათ, რომ ეს ფაქტები მოუყვეთ ჩვენს საზოგადოებას. მე ვთქვი ძალიან მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენ არ დავუშვებთ არც უმცირესობაზე ძალადობას და ისევე არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას და მათ აგრესიულ პროპაგანდას ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის უმრავლესობაზე. ეს უფლებები არის გარანტირებული კონსტიტუციით, ჩემო ძვირფასო. უფრო მეტიც, ჩვენ კანონით გავამყარეთ ეს ყველაფერი და არც ერთი ადამიანის დისკრიმინაცია არ ხდება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მე ვთქვი მთავარი – ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა 90% დაახლოებით, იზიარებს იმ კონსერვატიულ შეხედულებებს, ოჯახურ ფასეულობებს, ღირებულებებს, რომლითაც ჩვენ ყველანი დღემდე მოვედით, ესაა ქრისტიანული ფასეულობები, ესაა ეროვნული, პატრიოტული, ოჯახური ღირებულებები. მე ამაზე მაქვს საუბარი.

თქვენთვის მისაღებია ის აღვირახსნილი პროპაგანდა, რომელიც მიმდინარეობს ზოგიერთ ქვეყნებში, იგივე სქესის გადაკეთებასთან დაკავშირებით? ესაა პროპაგანდა, რომელიც არის მომწამვლელი ბავშვებში, ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში აღარ ვსაუბრობ. თქვენ შეგიძლიათ ძალიან ბევრი ინფორმაცია მოიძიოთ ამის თაობაზე, ჩვენი ვალდებულებაა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენ ამას გავაკეთებთ, – განაცხადა პრემიერმა.

# დაკავებული მამა და მეზობელი არასრულწლოვანზე სექსუალურად სისტემატურად ძალადობდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 47 წლის მამაკაცს ბრალი წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის გაუპატიურებაში ედება, ხოლო 28 წლის მეზობელი არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებითაა დაკავებული.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მამაკაცი შვილს ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა, რასაც არასრულწლოვანი რეალურად აღიქვამდა და ის მომხდარს წლების განმავლობაში მალავდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წალენჯიხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.



1976 წელს დაბადებულ პ.კ.-ს ბრალი წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის გაუპატიურებაში ედება, ხოლო 1995 წელს დაბადებული ტ.თ. არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებითაა დაკავებული. დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ პ.კ. არასრულწლოვან შვილთან, მისი ნების საწინააღმდეგოდ ამყარებდა სქესობრივ კავშირს. ხოლო ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. მამის მუქარას არასრულწლოვანი რეალურად აღიქვამდა, რის გამოც ის მომხდარს წლების განმავლობაში მალავდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ არასრულწლოვან გოგონასთან სქესობრივ კავშირს სისტემატიურად ამყარებდა მეზობელი ტ.თ.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურების და წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის გაუპატიურების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 11 პრიმა 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენს გმირ ვეტერანებს ვულოცავ ამ დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხების და ჩვენი გამარჯვების დღეა“



– მინდა პირველ რიგში, ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე. ამ დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხების და ჩვენი გამარჯვების დღე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სადაც მთავრობის მეთაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

– მინდა, პირველ რიგში, ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე. ამ დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხების და ჩვენი გამარჯვების დღე მინდა მივულოცო ჩვენს ვეტერანებს. მე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ქართველების, ჩვენი ხალხის როლი ამ დიდი სამამულო ომის გამარჯვებაში არის უდავოდ შეუფასებელი და თქვენ აღნიშნეთ, რომ შვიდასი ათასი ქართველი მონაწილეობდა ამ ომში, აქედან ნახევარზე მეტი გმირულად შეეწირა ამ იდეას, რასაც ერქვა ბოროტების დამარცხება და ფაშიზმზე გამარჯვება. ამიტომ, კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი გმირი ქართველების ხსოვნის წინაშე და ჩვენს გმირ ვეტერანებს მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი მთავრობის სახელით ყველაფრისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მელიტონ ქანთარიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო. პრემიერ-მინისტრი პარკში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გაესაუბრა, მათ მადლობა გადაუხადა და ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავი მიულოცა.

პრემიერთან ერთად „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“ თბილისის მერი კახა კალაძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

# სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებით უკვე 100-მდე მოქალაქემ ისარგებლა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2022 წლის საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა მოქალაქეს მის სისხლის სამართლის საქმესთან წვდომისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა და ამ უფლებით უკვე 100-მდე მოქალაქემ ისარგებლა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა იმ მოქალაქეს და პოტენციურ დაზარალებულს, რომელიც შეიძლება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი იყოს, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა.

– ეს გამჭვირვალე გამოძიების წარმოების საუკეთესო მოდელია, რომელიც სრულად შეესაბამება სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც პირველია საგამოძიებო ორგანოებისთვის, სავარაუდო მსხვერპლს უფლება აქვს, პირადად გაეცნოს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, ექსპერტიზის დასკვნებს, ვიდეო, აუდიო და საქმის სხვა მასალებს. ასევე, გამოთქვას მოსაზრებები და მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. აღნიშნული უფლების გამოყენებით მოქალაქე უშუალოდ აკვირდება გამოძიების მიმდინარეობას და თავად მონაწილეობს ამ პროცესში.

ამ წესის ამოქმედებიდან დღემდე, 100-მდე დაინტერესებულმა მოქალაქემ და მათმა ადვოკატმა ისარგებლა უკვე ამ შესაძლებლობით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მთავარ პრიორიტეტს გამჭვირვალე გამოძიების სტანდარტების დახვეწა და პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა წარმოადგენს.




არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა და 2022 წლის 27 ივლისიდან ამოქმედდა, – აღნიშნულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიშში.



# ვაკის პარკში, უკრაინის დროშის ჩამოხევის საქმეზე, ერთი პირი დააჯარიმეს

ვაკის პარკში, უკრაინის დროშის ჩამოხევის საქმეზე, ერთი პირი დაჯარიმდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

ცნობისთვის, ვაკის პარკში, უკრაინის დროშა 7 მაისს ჩამოხიეს, რის შემდეგაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კერძოდ კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-18 პრიმა მუხლით, რაც გულისხმობს ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური სიმბოლოს შებღალვას, ან სხვა სახელმწიფოს დროშის, ან გერბის შებღალვას.

სამართალდარღვევა 1.000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

არსებული ინფორმაციით, პირი, რომელმაც დროშა ჩამოხსნა, „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერია.

# რატომ გაქრა კონკრეტული გვარი ნიკო კვარაცხელიას საქმეზე დაკავებულის ჩვენებიდან

ვინ დგას ნიკო კვარაცხელიას შეკვეთილი მკვლელობის უკან. 21 წლის ახალგაზრდის დედა ღიად აცხადებს, რომ ძალოვნებისთვის ცნობილია მკვლელობის მოტივი და დამკვეთის ვინაობა.

იზა ომაძის ინფორმაციით, მსჯავრდებულმა გიორგი კავილაძემ დაკავების დროს დაასახელა კონკრეტული გვარი, თუმცა აღიარებითი ჩვენების ეს ნაწილი საქმის მასალებში არ ფიგურირებს.

– ვთხოვ შესაბამის ორგანოებს, ვინ მომიკლა ჩემი შვილი... ყველაზე მნიშვნელოვანია, მივიღო პასუხი: ვინ და რატომ მომიკლა შვილი, – ამბობს იზა ომაძე.

ცნობისთვის, პლატფორმა □ეედც-ის დამფუძნებელი, 22 წლის ნიკო კვარაცხელია თბილისში, 2021 წლის 15 სექტემბერს ჩაცხრილეს. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ახალგაზრდა 16 სექტემბერს, გამთენიას კლინიკაში გარდაიცვალა.

# 45 წლის მამაკაცმა 34 წლის ქალი სახლში შეიტყუა და სექსუალური ძალადობა სცადა

სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტი გურიაში – 45 წლის მამაკაცმა 34 წლის ქალი მოტყუებით სახლში შეიყვანა, ვითომ დედის დასახმარებლად, რა დროსაც ძალადობა სცადა. ქალმა თავის დაღწევა მოახერხა და სამართალდამცველებს მიმართა. დაზარალებულს აღენიშნება დაზიანებები სხეულზე, მას უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა.

ერთ-ერთი ვერსიით, მომხდარი შესაძლოა ოჯახებს შორის მანამდე არსებულ დაპირისპირებას და შურისძიებას უკავშირდებოდეს.

მეზობლები ამბობენ, რომ 34 წლის ქალის მამამთილი, წარსულში, წლების განმავლობაში ძალადობდა 45 წლის კაცის ცოლზე.

სავარაუდო მოძალადეს პოლიცია სამი დღეა ეძებს.

ადგილობრივების თქმით, 45 წლის კაცი მსგავს შემთხვევაში ადრეც იყო მხილებული, თუმცა მაშინ დანაშაული არ დაუმტკიცდა.

# „გაგიჟდით?.. ადამიანები არ ხართ, რაში იღებთ ფულს?!“ – რა ხდება მოხუცთა თავშესაფარში

„ადამიანები არ ხართ, რაში იღებთ ფულს?!“ – უმძიმესი კადრები მოხუცთა თავშესაფრიდან, რომელსაც სახელმწიფო 11.000 ლარს უხდის, თუმცა ბენეფიციარები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან



„სახალხო კონტროლი“ თბილისში მდებარე შპს „მოხუცებულთა ბაღს“ ეწვია და იქ არსებული მძიმე მდგომარეობა ასახა.

თავშესაფარს, რომელშიც 15 ბენეფიციარი იმყოფება, გაზი არ მიეწოდება. იქ მყოფი ადამიანები სიცივეში იმყოფებიან და ერთი თვე არის, რაც არ დაუბანიათ. შესაბამისად, დაწესებულებაში ჰიგიენის პრობლემა მძაფრად დგას და ანტისანიტარიაც არის.

საზოგადოება

# ნუცა ბუზალაძის სიმღერებს ბრიტანეთის და ირლანდიის ტელევიზიები აჩვენებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წამყვანი და ავტორიტეტული ბრიტანული მუსიკალური ვებპორტალი ვრცელ და უაღრესად პოზიტიურ მასალას ავრცელებს ნუცას გამოსვლასთან დაკავშირებით „ამერიკის ვარსკვლავის“ კონკურსში:

– როცა ჯენიფერ ჰადსონმა ფილმში „ოცნების გოგონები“ სიმღერა შეასრულა, ამ შესრულების გადამღერება შეუძლებელი ჩანდა. თუმცა, საიდან არ იყო, „ამერიკის ვარსკვლავში“ კონკურსანტი ნუცა გამოჩნდა.

მსგავს კონკურსში მონაწილეობა წარმოუდგენელი ნერვების ბრძოლაა. თითოეული კონკურსანტი თავის გულს დებს გამოსვლაში, თავიანთი ოცნებები და ტალანტი გამოაქვთ მწვრთნელების სამსჯავროზე და მილიონობით მაყურებლის კრიტიკის და დაკვირვების ქვეშ ექცევიან.

ერთადერთი, რაც ამაზე მეტად რთულია, არის მწვრთნელების წინაშე გამოსვლა და საკუთარი ადგილის მოპოვება ყოველ ტურში. სწორედ ამას აკეთებს ერთ-ერთი ნიჭიერი მომღერალი, სახელად ნუცა, რომელიც ტოპ-20-მდე მივიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიიღო საკმარისი ხმები ტოპ 12-იდან ათეულში ადგილის მოსაპოვებლად.

ნუცამ თავისი გამოსვლით არა მხოლოდ ღირსეული კონკურენცია გაუწია სხვა კონკურსანტებს, არამედ „დააგდო“ ისინი ყველა თავისი გამოსვლით. მას წარმოუდგენელი ხმა აქვს, მისი შესრულება უდიდესი ემოციით არის განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ნუცა თავის გადასარჩენად მღეროდა, მან უშეცდომოდ აიღო ყველა ნოტი, ხოლო მისი პრეზენტაბელურობა სცენაზე ტოვებდა განცდას, რომ კონკურსზე კი არ გამოდიოდა, არამედ საკუთარ კონცერტზე მღეროდა. და თუ ნუცამ არ მიიღო საკმარისი ხმები თავისი ადგილის უზრუნველსაყოფად, ნუცა ძალიან შეუყვარდა იუთუბის მსმენელს. მისი გამოსვლის ვიდეოს ათასობით მოწონება და უამრავი დადებითი კომენტარი მოყვა. „აბსოლუტური სრულყოფილება!!! რა წარმოუდგენელი ხმაა!!! ნუცა, რაც არ უნდა მოხდეს პროექტში, შენ უკვე ბრწყინვალე ვარსკვლავი ხარ და წინ შესანიშნავი მომავალი გაქვს! გილოცავ, მართლაც შთამბეჭდავ გამოსვლას! შენ უნდა დარჩე აქ ამ ფენომენალური შესრულებით!“ – ასეთია კომენტარები ნუცას ვიდეოს ქვეშ.

ნუცას ნიჭი არ არის ერთადერთი, რაც მას სხვა კონკურსანტებისგან განასხვავებს. ის ერთადერთი არა ამერიკელი კონკურსანტია. ნუცა ქალაქ თბილისიდან, საქართველოდან (ყოფილი სსრკ) არის წარმოშობით, თუმცა პროექტის დაწყებამდე ის დუბაიში ცხოვრობდა. მას 17 საათის ფრენა მოუხდა, რომ ამ დიდ სცენაზე გამოსულიყო.

ბევრი კონკურსანტისგან განსხვავებით, ნუცას გარკვეული პროფესიული გამოცდილებაც აქვს. იგი საქართველოში „იქს ფაქტორის“ და თურქული „ვოისის“ მონაწილე გახლდათ და ასევე დუბაის თეატრში მღეროდა. მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ შთამბეჭდავად მოვიდა აქამდე, ამერიკის დასაპყრობად წინ კიდევ გრძელი გზაა, რის გამოც პროექტში „ამერიკის ვარსკვლავი“ მონაწილეობა გადაწყვიტა. ნუცამ თავისი საოცარი ხმით, მბრწყინავი ხასიათით და შესანიშნავი სცენურობით ერთნაირად მოხიბლა ჟიური და უამრავი მაყურებელი. ამ პროექტით გაზრდილი მისი ცნობადობა ნამდვილად უზრუნველყოფს მის წარმატებულ მომავალს."

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# უკრაინა 9 მაისს ახალ დღესასწაულს იზეიმებს



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ოკუპანტებმა მთელი უკრაინის დაბომბვა გააქტიურეს. რუსებმა კიევის მიმართულებით „ხანჯალის“ ტიპის 35 რაკეტა გაუშვეს.

– „ხანჯალი“ უნიკალური რაკეტაა! მისი დაჭერა არავითარ რადარს არ შეუძლია! ასეთი შეიარაღება არავის აქვს, – იკვეხნიდა პრეზიდენტი პუტინი.

უკრაინელებმა კიევთან ყველა რუსული რაკეტა ჩამოაგდეს. ამაში უდიდესი როლი ითამაშეს ამერიკელმა პეტრიოტებმა. ისინი აშშ-მ სპეციალურად გადასცა უკრაინას. ცხადი იყო, რომ მოსკოვი უკრაინის დაბომბვას გააძლიერებდა და უკრაინასაც უნდა დაეცვა თავისი ცა.

ამან კრემლში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. რუსულმა მედიამ მორიგი ფეიკი გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ რუსულმა რაკეტებმა აეროპორტი ჟულიანი ააფეთქეს, ეს კი მტკნარი სიცრუეა. უკვე ხერხდება უკრაინის დედაქალაქის დაცვა რუსული რაკეტებისა თუ ბომბებისაგან. სხვა ქალაქებში რაკეტების გარკვეულმა რაოდენობამ მიზანს მიაღწია. შედეგად დაინგრა სახლები, დაიღუპნენ ადამიანები, მაგრამ ეს ბევრად უფრო მცირე მასშტაბებით მოხდა, ვიდრე პუტინი მოელოდა.

უკრაინის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც უკრაინა ნაციზმზე გამარჯვების დღეს 8 მაისს იზეიმებს, 9 მაისს კი უკრაინაში ევროპის დღე აღინიშნება.

– ამრიგად, 9 მაისი კვლავ უქმე დღედ რჩება, თუმცა ამ დღეს არა ნაცისმზე გამარჯვების, არამედ ევროპის დღეს აღნიშნავენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რუსულმა აგრესიამ უკრაინელთა ცნობიერება მთლიანად შეცვალა. თუ აქამდე 9 მაისს გამარჯვების დღედ უკრაინელთა 35% აღნიშნავდა, დღეს ეს რიცხვი 10%-მდე დაეცა. რუსეთს მტრად მიიჩნევს უკრაინელთა 89%. უკრაინის ეროვნული გმირი კი, 87%-ის აზრით, სტეპან ბანდერაა. შემდეგ მოდიან სიმონ პეტლიურა, ევგენი კონოვალეცი, ვალერი ლობანოვსკი და ა.შ.

– ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია! რუსულმა აგრესიამაც უკრაინელი ერის კონსოლიდაცია გამოიწვია! მოსახლეობაში პატრიოტული გრძნობები გაიზარდა, – მიიჩნევს უკრაინის ექსპრეზიდენტი პეტრო პოროშენკო.

ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ საამისოდ უკრაინამ უზარმაზარი ხარკი გაიღო. დღევანდელი მონაცემებით, ომში უკვე 23,5 ათასი უკრაინელი მეომარი დაიღუპა. 8 მილიონი უკრაინელი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა. ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად განადგურებულია. მიწასთან გასწორებულია რიგი ქალაქები, მათ შორის ბახმუტი, სოლედარი, ავდეევკა, მარინკა, პოპასნოე და ა.შ. მიუხედავად ამისა, ხალხი ოპტიმისტურადაა განწყობილი. რუსეთზე გამარჯვებისა სჯერა მოსახლეობის 89%-ს. ამდენივე წინააღმდეგია ოკუპანტების მიმართ რაიმე კომპრომისისა. ასეთია როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემები.

ამ ფონზე უკრაინაში 9 მაისის საბჭოური დღესასწაული გაუქმდა. კანონზომიერია, რომ ამას უკრაინელი ხალხის მასობრივი მხარდაჭერა ხვდა.

# რუსმა ოკუპანტებმა კიევი კვლავ დაბომბეს

რაც უფრო ახლოვდება უკრაინელების კონტრშეტევა, მით უფრო ინტენსიური ხდება უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა. რუსებმა კიევისაკენ 15 რაკეტა გაუშვეს.

– უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ყველა რაკეტა ჩამოაგდო, – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

ამრიგად, აშშ-ის მიერ უკრაინისათვის პეტრიოტის ტიპის რაკეტების მიწოდებამ ეფექტი უკვე იქონია.

# ვის ელოდებოდა პუტინი 9 მაისს მოსკოვში



ბელორუსის თვითმარქვია პრეზიდენტი ლუკაშენკო 8 მაისს მოსკოვში ჩავიდა. ის დაესწრება 9 მაისის საზეიმო ღონისძიებას.

ლუკაშენკოს გარდა, 9 მაისს მოსკოვში მოელიან: უზბეკეთის პრეზიდენტ მირზიოევს, სომხეთის პრემიერ პაშინიანს, ყირგიზეთის პრეზიდენტ ჯაპაროვს, ყაზახეთის პრეზიდენტ ტოკაევს.

# ბაიდენი ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლის გაძლიერებას მოითხოვს

ტეხასში მომხდარმა ტრაგედიამ (სროლა სავაჭრო ცენტრში) მთელი ამერიკა შეძრა. პრეზიდენტმა ბაიდენმაც ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლის გაძლიერება მოითხოვა.

უნდა შემოწმდეს იმათი ბიოგრაფია, ვინც იარაღს ყიდულობს. იარაღი არ უნდა გაიყიდოს ნასამართლებ ადამიანებზე, აგრეთვე მათზე, ვისაც ფსიქიკური გადახრები აქვს და სტაციონარში აღრიცხვაზე იმყოფება. აშშ-ის ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ კონგრესი ამ კანონპროექტს ჩააგდებს. ამავე დროს აშშ-ის მოქალაქეების 79% მის მიღებას მხარს უჭერს.

# ბახმუტი კვლავ ცხელი წერტილია

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილი კვლავ ბახმუტია. აქ ვითარება სულ უფრო დრამატული ხდება.

უკრაინელმა ჯარისკაცებმა არ დაუშვეს სტრატეგიული მნიშვნელობის გზების ოკუპანტების ხელში გადასვლა. უკრაინელებმა განახორციელეს შეტევა უშუალოდ ბახმუტზე. შედეგად უკან დაახევინეს ოკუპანტებს ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებში.

– უკვე ცხადია, რომ პრიგოჟინის პუტინისადმი მიცემული პირობა, ბახმუტს 9 მაისისათვის ავიღებთო, არ შესრულდა, – იტყობინება ტელეკომპანია „პრიამოი“.

პასუხად რუსებმა დაიწყეს ბახმუტის მასიური დაბომბვა. მტერი იყენებს ფოსფორულ ბომბებს, რომლებიც საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია.

მიუხედავად ამისა, უკრაინელმა მეომრებმა უკან არ დაიხიეს და ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. ბრძოლები გრძელდება.

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლები გრძელდება. ყველაზე ცხარე ბრძოლები კვლავ დონბასშია. ბახმუტს გარდა მათი ეპიცენტრია ავდეევკა და მარინკა.

ჩაიშალა რუსი ოკუპანტების მცდელობა ე.წ. კოტიოლში მოექციათ ავდეევკა. რუსებმა ვერც მარინკაში მიაღწიეს რაიმეს. პასუხად რუსებმა როგორც ავდეევკის, ისე მარინკის და უგლედარის დაბომბვა გააძლიერეს. მარინკა მთლიანად დაინგრა.

პარალელურად დაიბომბა უგლედარიც.

მიუხედავად ამისა, უკრაინელთა კონტრშეტევის შედეგად რუსები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. რაც შეეხება ვითარებას უკრაინის სამხრეთში, იქ სიტუაცია უცვლელია. უკრაინელები განაგრძობენ აფეთქებების სერიებს მელიტოპოლში, ყირიმში, ხერსონის ოლქში. უკრაინული არმია სულ უფრო იმტკიცებს პოზიციებს. პასუხად ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს თავად ხერსონი, ზაპორიჟიე, გულიაი პოლე და ა.შ.

რუსული ბომბებით ოდესაში განადგურებულია საწყობი ჰუმანიტარული ტვირთით. ნოკოლაევში მიწასთანაა გასწორებული მობილური ჰოსპიტალი, სამედიცინო დანადგარების უმრავლესობა და ავეჯი.

### დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგ დანაკარგებია: ტანკები – 3.734, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.258, არტილერია – 3.031, თვითმფრინავები – 308, ფრთოსანი რაკეტები – 955 განადგურებულია – 195.620.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**კალეიდოსკოპი**

# ქალმა მეუღლის ღალატი თუთიყუშის წყალობით გამოააშკარავა



ვიეტნამელმა ქალმა მეუღლის ღალატი თუთიყუშის წყალობით გამოააშკარავა, რომელმაც მამაკაცის მიერ სექსის დროს წამოძახებული სიტყვები დაიმახსოვრა.

ქალი მეუღლესთან ერთად ფლობდა ავეჯის ბიზნესს. კარგმა შემოსავალმა მამაკაცს საშუალება მისცა, მეტი დრო დაეთმო საკუთარი გატაცებებისთვის და თავისუფალ დროს უმეტესად სახლის სახურავზე ატარებდა, სადაც მცენარეებს ზრდიდა, ან თუთიყუშს უბრალო ფრაზების წარმოთქმას ასწავლიდა. უფრო მეტი თავისუფალი დრო რომ ჰქონოდა, ქალმა გადაწყვიტა, შინამოსამსახურე აეყვანა. ნაცნობის რეკომენდაციით, მან მოსამსახურედ ათი წლით მასზე უფროსი ქალი აიყვანა. ქალმა აღნიშნა, რომ მოსამსახურე პროფესიონალურად ასრულებდა საკუთარ მოვალეობებს და მეტად მომხიბვლელი და მეგობრული იყო.

მან შინამოსამსახურე თავის სახლში იმ ოთახში დააბინავა, სადაც თუთიყუში ჰყავდა. ნახევარი წლის შემდეგ ქალმა შენიშნა, რომ მისი მეუღლე უცნაურად იქცეოდა. მისი ქმარი უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც მის გვერდით შინამოსამსახურე აღმოჩნდებოდა, ხოლო როდესაც მეუღლე სამსახურში მიდიოდა, ის ან მეგობრებს ხვდებოდა, ან სახურავზე ადიოდა, რათა შინამოსამსახურეს არ გადაყროდა. ქალმა ჩათვალა, რომ ეს ნებისმიერი მამაკაცის ნორმალური რეაქცია იყო იმაზე, როდესაც მის სახლში უცხო ქალი გამოჩნდებოდა.

ერთ დღესაც, საღამოს, დროზე ადრე დაბრუნებულ ქალს შინამოსამსახურემ კარის გაღება დაუგვიანა და ეს იმით გაამართლა, რომ სარეცხს ფენდა. ქალს გაახსენდა, რომ ის ყოველთვის სარეცხის გაფენით იყო დაკავებული მზიან ამინდში და რაღაც იეჭვა. სახლში შესულმა კი შეამჩნია, რომ მის ქმარს ნერვიულობა ეტყობოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ქალმა თავად გაიტანა გარეცხილი ტანსაცმელი თოკზე გასაფენად. ამ დროს მან მოულოდნელად გაიგონა, რომ თუთიყუში უცნაურ, სექსუალური ხასიათის ფრაზებს იძახოდა. ის მიხვდა, რომ ფრინველი იმ სიტყვებს იმეორებდა, რომელსაც ქმარი სექსის დროს ამბობდა და დარწმუნდა, რომ მის მეუღლეს რომანი ჰქონდა შინამოსამსახურესთან.

ქმრის ღალატში გამოსაჭერად ქალმა შინამოსამსახურის ოთახში ფარული კამერის დაყენება გადაწყვიტა. რამდენიმე კვირის შემდეგ მან ნახა, რომ მის ქმარს მართლაც ჰქონდა სექსი შინამოსამსახურესთან. მან ასევე შეიტყო, რომ ქმარმა მოსამსახურე ქალს მასთან ცხოვრება შესთავაზა და შესჩივლა, რომ ცოლთან ცხოვრებამ დაღალა. ქალმა ამის შემდეგ განცხადება შეიტანა განქორწინებაზე, ხოლო ადვოკატს ვიდეოჩანაწერები გადასცა, რომლებიც მეუღლის ღალატის მტკიცებულებას წარმოადგენდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


**სპორტი**

## შედეგები

8 მაისი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ფულემი-ლესტერი 5:3
ბრაიტონი-ევერტონი 1:5
ნოტინგემი-საუთჰემპტონი 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 26 | 4 | 4 | 89-31 | 82 |
| 2.არსენალი | 35 | 25 | 6 | 4 | 83-39 | 81 |
| 3.ნიუკასლი | 34 | 18 | 11 | 5 | 61-29 | 65 |
| 4.მანჩესტერი | 34 | 19 | 6 | 9 | 49-41 | 63 |
| 5.ლივერპული | 35 | 18 | 8 | 9 | 67-42 | 62 |
| 6.ტოტენჰემი | 35 | 17 | 6 | 12 | 64-57 | 57 |
| 7.ბრაიტონი | 33 | 16 | 7 | 10 | 63-45 | 55 |
| 8.ასტონ ვილა | 35 | 16 | 6 | 13 | 46-43 | 54 |
| 9.ბრენტფორდი | 35 | 12 | 14 | 9 | 52-45 | 50 |
| 10.ფულემი | 35 | 14 | 6 | 15 | 50-49 | 48 |
| 11.ჩელსი | 34 | 11 | 9 | 14 | 34-39 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 10 | 10 | 15 | 35-46 | 40 |
| 13.ვულვზი | 35 | 11 | 7 | 17 | 30-50 | 40 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 11 | 6 | 18 | 37-67 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-50 | 37 |
| 16.ნოტინგემი | 34 | 8 | 9 | 18 | 34-65 | 33 |
| 17.ევერტონი | 35 | 7 | 11 | 17 | 32-53 | 32 |
| 18.ლესტერი | 35 | 8 | 6 | 21 | 49-64 | 30 |
| 19.ლიდსი | 35 | 7 | 9 | 19 | 44-69 | 30 |
| 20.საუთჰემპტონი | 35 | 6 | 6 | 23 | 31-64 | 24 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-კარდიფი 3:0
ბირმინგემი-შეფილდი 1:2
ქპრ-ბრისტოლი 0:2
ლუთონი-ჰალი 0:0
მიდლსბრო-ქოვენთრი 1:1
მილუოლი-ბლექბერნი 3:4
ნორვიჩი-ბლექპული 0:1
პრესტონი-სანდერლენდი 0:3
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი 3:2
უიგანი-როტერჰემი 0:0
უოტფორდი-სტოკი 2:0
ჰადერსფილდი-რედინგი 2:0

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ეიბარი-ლასპალმასი 0:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-სამპდორია 2:0
ემპოლი-სალერნიტანა 2:1
სასუოლო-ბოლონია 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 34 | 26 | 5 | 3 | 70-23 | 83 |
| 2.იუვენტუსი | 34 | 20 | 6 | 8 | 52-28 | 66 |
| 3.ლაციო | 34 | 19 | 7 | 8 | 52-26 | 64 |
| 4.ინტერი | 34 | 20 | 3 | 11 | 62-35 | 63 |
| 5.მილანი | 34 | 17 | 10 | 7 | 55-39 | 61 |
| 6.ატალანტა | 34 | 17 | 7 | 10 | 56-41 | 58 |
| 7.რომა | 34 | 17 | 7 | 10 | 45-33 | 58 |
| 8.ფიორენტინა | 34 | 12 | 10 | 12 | 45-40 | 46 |
| 9.უდინეზე | 34 | 11 | 13 | 10 | 45-41 | 46 |
| 10.ბოლონია | 34 | 12 | 10 | 12 | 43-44 | 46 |
| 11.მონცა | 34 | 12 | 10 | 12 | 42-45 | 46 |
| 12.ტორინო | 34 | 12 | 10 | 12 | 36-39 | 46 |
| 13.სასუოლო | 34 | 12 | 8 | 14 | 41-50 | 43 |
| 14.ემპოლი | 34 | 9 | 11 | 14 | 31-44 | 38 |
| 15.სალერნიტანა | 34 | 7 | 14 | 13 | 42-56 | 35 |
| 16.ლეჩე | 34 | 7 | 10 | 17 | 28-41 | 31 |
| 17.ვერონა | 34 | 7 | 9 | 18 | 28-51 | 30 |
| 18.სპეცია | 34 | 5 | 12 | 17 | 28-56 | 27 |
| 19.კრემონეზე | 34 | 4 | 12 | 18 | 31-59 | 24 |
| 20.სამპდორია | 34 | 3 | 8 | 23 | 20-61 | 17 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ლე ავრი-როდეზი 1:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფამილიკაუ-შავიში 1:2
აროუკა-პორტუ 0:1

### თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-ბაშაქშეჰირი 1:0
ტრაბზონი-ანკარაგიუჯიუ 2:0

### დანია. სუპერლიგა

ნორსიელანდი-კოპენჰაგენი 3:2

### შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-გიოტებორგი 0:0
დეგერფორსი-ნორჩიოპინგი 0:2
სირიუსი-ელფსბორგი 3:4
დიურგარდენი-კალმარი 3:1

### ნორვეგია. ელიტსერია

ბრანი-სანდერფიორდი 0:0

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ძიუდოისტები მსოფლიოს უმედლოდ აგრძელებენ



დოჰაში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე და მესამე დღეს ტატამიზე სამი ქართველი გავიდა და უმედლოდ დავრჩით.

66 კილოგრამამდე მოჭიდავე ვაჟა მარგველაშვილი სამეულს მიღმა დარჩა. ჩვენებურმა ესტონელ ოსკარ პერტელსონსა და მონღოლ ეხემბაიარ ბატოგტოხს ვაზარებით მოუგო, რის შემდეგაც მეოთხედფინალში ოლიმპიურ და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ, იაპონელ ჰიფუმი აბესთან 2 წუთში დამარცხდა.

მარგველაშვილმა რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც აქამდე რუსეთის, ამ მსოფლიოზე კი „ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტების" სახელით მოასპარეზე იაგო აბულაძე დაამარცხა. ვაჟა ბრინჯაოსთვის მონღოლ ბასხუუ იონდონპერენლეის დაეჭიდა – დამატებით დროში გამარჯვება მეტოქეს დარჩა.

სამწუხაროდ, პირველივე წრეში დამარცხდა ლაშა შავდათუაშვილი (73). ჩვენებურს მეტოქედ იაპონელი სოიჩი ჰაშიმიტო ერგო. აზიელმა სპორტსმენმა შავდათუაშვილს ვაზარი აართვა და შემდეგ თავი კარგად დაიცვა.

ეთერ ლიპარტელიანმა (57) პირველივე დაპირისპირებაში ჩინელი ქი ცაისი ვაზარით დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში ფრანგ სარა ლეონ სისიკთან დამატებით დროში დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

# კორიერო დელო სპორტის აზრით, კვარაცხელია ნაპოლიში საუკეთესოა

2000-01 წლების სერია ა რომამ მოიგო. მას შემდეგ იტალიაში მხოლოდ სამი გუნდი ჩემპიონობდა – იუვენტუსი, მილანი და ინტერი. წელს ამ ჰეგემონიას წერტილი ნაპოლიმ დაუსვა.

იტალიურმა გამოცემა კორიერო დელო სპორტმა სეზონში ნაპოლის ფეხბურთელები შეაფასა და ყველაზე მაღალი ქართველმა შემტევმა ხვიჩა კვარაცხელიამ მიიღო – 10.

ვნახოთ კორიერო დელო სპორტის შეფასება:

– საუკეთესო 5 ფეხბურთელი? რთული ამოცანაა, იმ სეზონში, როცა ყველაფერი კარგად მიდიოდა და ყველამ მოლოდინს გადააჭარბა.

თუმცა, არსებობს სეზონის მეფე და ეს ნორმალურია: ყველამ იცის, ვინც არის. დანარჩენები კი ისინი არიან, რომლებმაც გუნდის წარმატებაში საკუთარი როლი შეიტანეს. ეს სეზონი დიდი ხნის განმავლობაში ემახსოვრებათ და არამხოლოდ ნეაპოლში.

მისი უდიდებულესობა, სეზონის მვპ – ხვიჩა კვარაცხელია. საუკეთესო ფეხბურთელის არჩევა ისეთივე მარტივია, როგორც მისი დრიბლინგი. მისი ისტორია სულაც დისნეის ზღაპარს იმსახურებს: ოდესღაც აქ ინსინიე ცხოვრობდა, რომელიც ერთ დღეს მიდის. ნეაპოლში ჩადის ქართველი, რომელზეც ამბობენ, რომ კარგია და ნაკრებშიც ბრწყინავს, მაგრამ არც ისე პრესტიჟული ბათუმის დინამოდან ჩადის. მთავარია, მისი ჯუნტოლის სჯერა, სპალეტი კი პირველ ვარჯიშებზე ამოწმებს.

კვარაცხელიას პირველი ოფიციალური გოლისთვის 37 წუთი დასჭირდა. 37 წუთი. არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც 37 წუთში დაბანას ვერ ასწრებენ. 37 წუთში მან მსოფლიოს უთხრა – გამარჯვება ნებისმიერი გზით შემიძლია.

შემდეგ ასეც მოხდება.

კვარა სირთულეებს მარტივად უმკლავდება, ბურთს ისე ფლობს, როგორც ბრაზილიელი. მაშინაც კი, როცა რთული მეტოქეები ხვდებიან, რომლებიც ერთი შეხედვით მის შეჩერებას ახერხებენ, იმ მატჩებშიც ქმნის 3-4 მომენტს. მეტოქე გუნდის მწვრთნელები მის წინააღმდეგ მცველების რაოდენობას აორმაგებენ, მაგრამ გამოსავალს მაინც პოულობს. მათ, ვისაც მის წინააღმდეგ უწევთ თამაში, კვარა არასოდეს დაავიწყდებათ.

ამ სეზონში ტექნიკურ ლიდერად ქართველი ითვლება და არამარტო. ეს სკუდეტო ყველას ეკუთვნის, მაგრამ მომავალ სეზონში, როცა ნაპოლი ახალ მაისურებს შეკერავს, მისი გვარი – კვარაცხელია, მკერდთან ყველაზე ახლოს უნდა ეწეროს.

# ბარსელონას მესის დაბრუნება შეუძლია, მაგრამ პრობლემები აქვს



ესპანური მედიის ინფორმაციით, ლა ლიგამ ლიონელ მესის დასაბრუნებლად ბარსელონას წარდგენილ გეგმას მწვანე შუქი აუნთო.

კატალონიელებმა სახელფასო ხარჯების შემცირება უნდა მოახერხონ, რასაც კლუბი ფეხბურთელების გაყიდვითა და ხელფასების შემცირებით თუ მიაღწევს. ახლა ჯერი ბარსაზეა, რომელმაც გეგმა უნდა შეასრულოს.

ამასობაში ბარსელონამ შეამჩნია, რომ ბოლო პერიოდში მესის გარემოცვა კლუბის სიტუაციით აღარ ინტერესდებოდა, რაც მხარეებს შორის დისტანცირების მანიშნებელია. 35 წლის ფეხბურთელის გარემოცვის ზოგიერთ წევრს, ფინანსური პირობების გამო, ლეოს ალ ჰილალში სურს, მაგრამ მესისა და მის ოჯახს ბარსელონაში დაბრუნება ურჩევნია.

ამასობაში ბარსელონას სხვა საქმეებიც აქვს მოსაგვარებელი: ესპანეთის პროკურატურა ლა ლიგის ოთხი არბიტრის აქტივებს შეამოწმებს.

ეჭვმიტანილნი არიან: კარლოს კლოს გომესი, სანტიაგო ხაიმე ლატრე, ალეხანდრო ერნანდესი და ხოსე მარია სანჩერს მარტინესი. მსაჯების წინააღმდეგ 55-გვერდიანი ანგარიშია შექმნილი და ასახულია ობიექტები, რომლებიც ნაღდი ფულით შეიძინეს.

ანგარიშის მიხედვით, კარლოს კლოს გომესი, რომელიც დღეს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა ტექნიკურ კომიტეტში VAR-ის სისტემაზეა პასუხისმგებელი, ფლობს უძრავი ქონების შვიდ ობიექტს (მათ შორის, ოთხ სახლს), რომელთა საერთო ღირებულება აჭარბებს მილიონ ევროს.

სანტიაგო ხაიმე ლატრეს სახელზე ასევე უძრავი ქონების შვიდი ობიექტია რეგისტრირებული. მათი დიდი ნაწილი 2020 წელს არის შეძენილი. ყველა ობიექტში ნაღდი ფულია გადახდილი. საერთო ჯამში, ლატრეს უძრავი ქონება 1.8 მილიონ ევროდ ფასდება.

ალეხანდრო ერნანდესს მილიონი ევროს ღირებულების უძრავი ქონება ეკუთვნის, რომელიც 2019-21 წლებშია შეძენილი. მადრიდში, ლას პალმასსა და ლანსაროტეში შეძენილ სახლებში ნაღდი ფულია გადახდილი.

ხოსე მარია სანჩეს მარტინესმა ასევე ნაღდი ფულით 2019 წელს სახლი მურსიაში შეიძინა.

ეს ანგარიში, შესაძლოა „ნეგრეირას საქმეში" ჩართონ. შეგახსენებთ, რომ 2001-17 წლების პერიოდში, როცა ხოსე მარია ენრიკეს ნეგრეირა მსაჯთა ტექნიკური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ბარსელონამ მის კომპანიას ჯამში 7.3 მილიონი ევრო გადაურიცხა.

პარალელურ გამოძიებას უეფაც აწარმოებს და, თუ ბარსელონას ბრალს დაუმტკიცებენ, კლუბს, სავარაუდოდ, ევროტურნირებიდან ერთი წლით მოკვეთენ.

ბარსელონას პოზიცია „ნეგრეირას საქმეზე" უცვლელია: კლუბი უარყოფს რაიმე კანონდარღვევას.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ამერიკული მედია: „მამუკელაშვილი კარგია, მაგრამ დაცვას უნდა მოუმატოს"

სანამ ნბა-ში გახურებული ფლეი ოფებია, ამერიკულმა მედიამ სან ანტონიოს რეგულარული სეზონი შეაჯამა. ჩვენ ის მონაკვეთი გამოვარჩიეთ, სადაც საუბარი სანდრო მამუკელაშვილზეა. მედია წერს, რომ სპურსმა ქართველი კალათბურთელი უნდა შეინარჩუნოს.

**სანდრო მამუკელაშვილი**

– სპურსში სეზონის ბოლოს გადასულს მალევე არაერთი მეტსახელი შეარქვეს. ეს ნიშნავს, რომ ტექსასურმა პუბლიკამ კარგად მიიღო. სანდროს, რომელიც ფანების ერთ-ერთ ფავორიტად იქცა, ყველაზე ხშირად უბრალოდ „მამუს" უწოდებენ. მთლად „მანუ" (მანუ ჯინობილი) არ ჟღერს, მაგრამ რამდენიმე ისეთი ეპიზოდი ჰქონდა, რომ არც ამ შედარებას მორიდებიან.



მამუკელაშვილი სან ანტონიოში მილუოკი ბაქსიდან დათხოვნის შემდეგ აღმოჩნდა. თუმცა, შანსი ახალ გუნდში მალევე მიიღო. პოზიციით ცენტრია, მაგრამ პასის კულტურა მაღალ დონეზე აქვს, მეტოქის დაცვის გაწელვა შეუძლია და პერიმეტრიდანაც კარგად უტევს. სწორედ ამიტომ მამუ სპურსის სათამაშო სტილს კარგად მოერგო, რომელიც სწრაფ შეტევასა და ბურთის გაზიარებას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, სამწვრთნელო შტაბის ნდობაც მიიღო.

**გრეგ პოპოვიჩი:**

– იმ ტიპის კალათბურთელია, რომელმაც იცის, როგორ ითამაშოს. ძალიან ჭკვიანურად მოქმედებს, ამიტომაც მისით ნამდვილად მოვიხიბლე. გუნდისთვის ძალიან სარგებლიანად მოქმედებს.

სანდრომ სოლიდური შრომა გასწია, როდესაც სპურსს მაღლებში პრობლემა შეექმნა. ჩარლს ბესიმ ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა, მუდმივი პრობლემები ჰქონდა ზაკ კოლინსსაც. შედეგად ისე გამოვიდა, რომ მამუმ 19 მატჩიდან 7 სასტარტო ხუთეულში დაიწყო. მისი ენერგიულობა სწორედ ის აღმოჩნდა, რაც სან ანტონიოს წინ ხაზში სჭირდებოდა. სანდრო ისეთ პასებს არიგებდა, მცველებისგან ვერ განასხვავებდით. პლუს ფიზიკურ ორთაბრძოლებში სამწამიან ზონაში მუდმივად ჩართული იყო და ბურთის მოხსნაზე აქტიურად იბრძოდა.

სანდროს მინუსი დაცვაში თამაშია და სწრაფი შემტევების მეურვეობა უჭირდა. ეს კარგი ამბავი არაა იმ ფონზე, რადგან ნბა-ს კლუბების უმეტესობა აქცენტს შემადგენლობის სხარტი მოთამაშეებით დაკომპლექტებაზე აკეთებს, რომელთა მთავარი პლუსი (გარდა სისწრაფისა) პერიმეტრზე დამაჯერებელი მოქმედებაა. მამუ შეტევაში „მცირე ცენტრის" მოვალეობებს წარმატებით ასრულებს, მაგრამ ნბა-ში ადგილის შესანარჩუნებლად დაცვაზეც უნდა იზრუნოს.

მამუკელაშვილი სპურსის იმ ახალგაზრდა კალათბურთელებს შორისაა, რომლებიც ზაფხულში თავისუფალი აგენტები ხდებიან და დიდი ბრძოლა მოუწევს არა მხოლოდ ამჟამინდელ თანაგუნდელებთან, არამედ პოტენციურად დრაფტის სამ არჩევანთანაც (ერთი პირველი რაუნდიდან და ორიც მეორედან), რათა შემადგენლობაში ადგილი შეინარჩუნოს. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მაღალ დონეზე დაასრულა სანდრომ სეზონი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ორმხრივ კონტრაქტზე დათანხმდეს. თუკი მამუ როსტერში გარანტირებულ ადგილს ვერ მიიღებს, დიდი ალბათობით, მის გამოჩენას სხვა გუნდში უნდა ველოდეთ.

სან ანტონიოში მამუკელაშვილის მომავალს ბუნდოვნად ის ვითარება ქმნის, რომელიც მაღლებთან დაკავშირებით არის შექმნილი. მაგალითად, მომავალი სეზონისთვის გარანტირებული კონტრაქტი არც კოლინსს აქვს. თუმცა, პოპოვიჩს ნათქვამი აქვს, რომ ის სასტარტო ხუთეულში უნდა იყოს, ასე რომ, გამოდის, ზაკს არავინ შეეხება. ბესიმ თებერვალში 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გამოდის, ადგილი მასაც გარანტირებული აქვს. სან ანტონიოში იმედი აქვთ, რომ მომავალ დრაფტზე სწორედ მათ ერგებათ ევროპული კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი ვიქტორ ვემბანიამა, რაც სპურსის როტაციაში ბევრ რამეს შეცვლის. ამას გარდა, გამორიცხული არაა აქცენტი გორგი დენგის ან დომინიკ ბერლოუს დაბრუნებაზე გაკეთდეს. მოკლედ, ბევრი რამ გასარკვევია და ეს ართულებს, სანდროს შესახებ არგუმენტირებული ვარაუდი გამოვთქვათ.

ერთი კი ნამდვილად შეგვიძლია აღვნიშნოთ. მამუკელაშვილს სპურსში დამაჯერებელი სტარტი ჰქონდა და წესით, გუნდში არ უნდა იყვნენ წინააღმდეგნი, რათა მას კიდევ ერთი, ამჯერად, სრული სეზონი მისცენ და ახალგაზრდა კალათბურთელის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ. სანდრომ ნამდვილად შეიტანა სიახლე გუნდში, რომლის ახლებურად ფორმირების პროცესი სწორედ ახლა მიმდინარეობს. თუკი რაიმე კარდინალურად არ შეიცვალა (მაგალითად, ძალიან არ გაუმართლათ დრაფტ-ლატარეაში), ამ ეტაპზე მამუკელაშვილისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება ყველაზე სწორ ნაბიჯად მოჩანს.

შეგახსენებთ, რომ სანდროს სან ანტონიოში საუკეთესო მატჩი დალასის წინააღმდეგ ჰქონდა: 23 ქულა (7-დან 4 სამქულიანი), 11 მოხსნა, 4 პასი.

# ვალენსია მამარდაშვილის ტრანსფერში ახალ პუნქტს ჩადებს



ესპანური ვალენსიას ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი კლუბის შეცვლასთან ახლოს არის. თავად კლუბი მის ტრანსფერზე დიდ იმედებს ამყარებს და უფრო შორს მიმავალი სტრატეგიაც აქვს – ვალენსიას სურს გარკვეული თანხა მამარდაშვილის მორიგი ტრანსფერიდანაც მიიღოს.

აი, რას წერენ ესპანელები:

– ვალენსიას გიორგი მამარდაშვილის ტრანსფერის საკითხში ახალი სტრატეგია აქვს და კლუბი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქართველი მეკარის გაყიდვიდან მაქსიმალური სარგებელი ნახოს.

მამარდაშვილს „ღამურებთან" კონტრაქტი 2027 წლამდე აქვს გაფორმებული, ხოლო მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევროა. ცხადია, მამარდაშვილის სანაცვლოდ ამ ეტაპზე ამდენს არავინ გადაიხდის.

მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, ვალენსიას არ სურს ფეხბურთელი დაბალ ფასში გაასხვისოს. ესპანურ კლუბს მამარდაშვილში დაგეგმილი 25 მილიონი ევრო აქვს, მაგრამ ჩართული კიდევ ერთი პუნქტი იქნება.

საქმე ის არის, რომ ვალენსიას თანხის მიღება ქართველი ლეგიონერის შემდგომი გაყიდვიდანაც სურს და მისი მომდევნო კლუბისგან მომავალ ტრანსფერში საპროცენტო განაკვეთის ჩართვას ეცდება. „ღამურებს" ამის კარგი გამოცდილება აქვთ და ადრე ფერან ტორესისა (ბარსელონა) და როდრიგო დე პაულის (ატლეტიკო) შემთხვევებში სარფიანადაც იხეირეს.

თუმცა, აპენინური მედია იმასაც წერს, რომ საამისოდ ვალენსია ლა ლიგაში უნდა დარჩეს, რადგან ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და მამარდაშვილის ტრანსფერის დროს საკუთარი მოთხოვნების ბოლომდე დაცვა ძალიან გაუჭირდებათ.

ვალენსიას 33 ტურის შემდეგ 34 ქულა აქვს და გასავარდნ ზონასთან ახლოს იმყოფება. შემდეგ ტურში ვალენსია 14 მაისს ვიგოში სელტას ეთამაშება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მხარე ავსტრიაში; 2. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 3. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაციადარღვეული ადამიანი; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები ნივთიერება; 12. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ღვინის თიხის სასმისი.

**თარაზულად:** 5. უბანი ქუთაისში; 6. ლუზის ამოსაქაჩი ჯალამბარი გემზე; 7. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 10. დაბალი, საამო ხმით მღერა; 13. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობენ; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 20. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. ფრანგული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაკირი; 2. კაკაჩი; 3. ივერი; 5. ბანა; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ბაობაბი; 19. გოია.

**თარაზულად:** 1. ფაბრიკაცია; 4. დამბაჩა; 7. კონიაკი; 9. რემისია; 10. აპაჩი; 14. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ბაზიერი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 22. მირზაანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერესი; 2. ონაგატა; 3. ჯავახეთი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. არფა; 16. კოლექცია; 17. მაშავერა; 19. ფროიდი.

**თარაზულად:** 5. სავოიარი; 6. ჯარგვალი; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. კანადა; 15. სნუკერი; 18. ჰოპერი; 20. რატუშა; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ავტოჟირი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

10 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4830

ევრო — 2.7430

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1440

100 რუსული რუბლი — 3.2257

## ამინდის პროგნოზი




## ერიკ ტენ ჰაავი: „მანჩესტერ იუნაიტედს რთული პერიოდი აქვს“



მანჩესტერ იუნაიტედმა ბოლო რამდენიმე შეხვედრა არცთუ კარგად ჩაატარა და ტენ ჰააგის თქმით, გუნდს რთული პერიოდი აქვს, რომელსაც ისინი აუცილებლად დაძლევენ და მომავალი სეზონისთვის უკეთ მოემზადებიან: „ბოლო ერთი თვეა კარგ შედეგს ვერ ვაჩვენებთ და არ ვიცი, ეს რისი ბრალია. ფაქტია, რომ დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და ვეცადოთ, რომ მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურები ვიყოთ“.

## ლევანდოვსკი: „ბარსელონაში ბედნიერი ვარ“

ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ ის გუნდში ბედნიერია და სურს, რომ კიდევ მინიმუმ რამდენიმე წელი ითამაშოს კატალონიურ კლუბში. ლევანდოვსკის თქმით, ბარსელონას კარგი სეზონი აქვს: „ესპანეთის ჩემპიონატში ყველაფერს სწორად ვაკეთებთ და გამარჯვებასთან ახლოს ვართ. აქ ბედნიერი ვარ და მინდა, რომ ბარსელონას ბევრი წარმატება მოვუტანო“.

## ლაუტარო მარტინესს ინტერში დარჩენა სურს




ინტერის ფორვარდს ლაუტარო მარტინესს ინტერში დარჩენა სურს და ის არ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას. ლაუტაროს აგენტმა თქვა, რომ მისი კლიენტი გუნდში ბედნიერია და კიდევ რამდენიმე წელიწადი ინტერში თამაშს აპირებს. მარტინესის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ გუნდს სურდა, თუმცა ინტერმა ისინი უარით გაისტუმრა და მალე ლაუტარო ინტერთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

კომისია მივიდა ციხის შესამოწმებლად. ხედავენ, საკნების კარები ღიაა, დაცვა არ დგას, მაგრამ ყველა პატიმარი ადგილზეა.

ნანახით გაოგნებული ერთ-ერთი შემმოწმებელი ციხის უფროსს ეკითხება:

– მომისმინეთ, კი მაგრამ, ეს როგორ მოახერხეთ? სხვა საპატიმროებში, მიუხედავად გაძლიერებული დაცვისა, მოდარაჯე ძაღლებისა, ხელბორკილებისა, გისოსებისა, პატიმრები მაინც ახერხებენ გაქცევას.

– უბრალოდ, საკნებში ინტერნეტი გავიყვანე...

●●●

სომეხს ეკითხებიან:

– რა აჩუქე ახლად დაქორწინებულებს?

– ჩემი მაღაზიის ვაუჩერი, მართალია, შარშანდელი საქონელია, მაგრამ კარგია.

●●●

ორი პროგრამისტი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– საიდან გაქვს ასეთი მაგარი ველოსიპედი.

– გუშინ საღამოს ტბის პირას ვიჯექი. ამ დროს ველოსიპედით მაგარი გოგო მოვიდა, გვერდით მომიჯდა, ყველაფერი გაიხადა და მეუბნება: „შეგიძლია, ყველაფერი მიიღო, რასაც მოისურვებ“. ჰოდა, მეც ავდექი და ველოსიპედი ავიღე.

– სწორად მოქცეულხარ, მისი ტანსაცმელი მაინც არ გამოგადგებოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გიული ჩოხელი ახალი წიგნის გამოსაცემად საკუთარ წიგნებს ყიდის



ჯაზის ქართველი ლეგენდა გიული ჩოხელი ახალი წიგნის გამოსაცემად თავის ავტობიოგრაფიულ წიგნს ყიდის.

„ეს იყო სიზმარი“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელსაც 23 რჩეული სიმღერით დაკომპლექტებული ალბომიც მოყვება. ყოველი წიგნის პირველ გვერდს თან ერთვის ავტორის ავტოგრაფი. წიგნი შეზღუდული რაოდენობით იყიდება – სულ 10 ეგზემპლარია. შეგროვილი თანხით მომღერალი კიდევ ერთ წიგნს გამოსცემს.

## ნუცა ბუზალაძის სიმღერებს ბრიტანეთის და ირლანდიის ტელევიზიები აჩვენებენ



„ამერიკის ვარსკვლავის“ ქართველი მონაწილე ნუცა ბუზალაძის გამოსვლებს ბრიტანეთისა და ირლანდიის ტელევიზიები აჩვენებენ.

ინფორმაცია ამის შესახებ ზაზა შენგელიამ გაავრცელა:

– კიდევ ერთი ახალი საინტერესო და სასიამოვნო ამბავი ნუცა ბუზალაძესთან დაკავშირებით: ამერიკული ტელეკომპანია ეიბისის ეთერში „ამერიკის ვარსკვლავის“ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, ზაფხულის თვეებში, წლევანდელი სეზონის სერიების გამეორებას აპირებენ ასევე დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთის და ირლანდიის სატელევიზიო აუდიტორიას საშუალება ექნება, იხილოს ნუცას ბრწყინვალე გამოსვლები „ამერიკის ვარსკვლავში“.

ეს ძალიან მისასალმებელი და სასიხარულო ფაქტია, ვინაიდან დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, წამყვან ქვეყანას წარმოადგენს მსოფლიო მუსიკალურ ბაზარზე.

ამ მოახლოებულ ტელეჩვენებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი გაგრძელება მე-5 გვერდზე

## დიმიტრი კრიმოვი თბილისში შემოქმედებით საღამოს გამართავს




მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი, მხატვარი, სცენოგრაფი და პედაგოგი დიმიტრი კრიმოვი თბილისში შემოქმედებით საღამოს გამართავს.

12 მაისს სოხუმის თეატრში რეჟისორი შეკრებილ საზოგადოებას მის ბოლოდროინდელ გახმაურებულ დადგმას „კოსტიკი“ აჩვენებს, რომელიც დაფუძნებულია ანტონ ჩეხოვის პიესაზე „თოლია“.

გასულ წელს დიმიტრი კრიმოვი ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც დააფუძნა ახალი ლაბორატორია.

თბილისში დაგეგმილი შეხვედრის ფარგლებში, დიმიტრი კრიმოვი მაყურებლებთან თავის ამერიკულ გამოცდილებაზე ისაუბრებს, დამსწრე საზოგადოებას კი მასთან კითხვის დასმის შესაძლებლობა მიეცემა.

## გიგა ლორთქიფანიძის სამუზეუმო სახლი მფლობელს დაუბრუნდა

რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის ქუთაისში მდებარე სახლი მფლობელს დაუბრუნდა.

ინფორმაცია რეჟისორის მეუღლემ, მსახიობმა ქეთევან კიკნაძემ გაავრცელა:

– დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ, მადლობა ობიექტურობისთვის, მადლობა იმისათვის, რომ გააუქმეს ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილება, იმის შესახებ, რომ გიგას სამუზეუმო სახლი, დაბრუნდა მისი მფლობელების ხელში; მადლობა იმ დიდი ქართველობისთვის, რომ მუზეუმის აღდგენას შეუწყობენ ხელს. სამართალმა პური ჭამაო, ნათქვამია და ასეც მოხდა. შეწყვიტოს მოპირდაპირე მხარემ სასამართლოს შეურაცხმყოფელი ჭორები, თითქოს გადაწყვეტილება სხვის „მხარეზეა“, ეს დანაშაულია მოსამართლეების მიმართ.

## გელა ბაბლუანის უახლეს ფილმს ქართველი მაყურებელიც ნახავს



კინორეჟისორ გელა ბაბლუანის უახლეს ფილმს „ის ბიჭები“ ქართველი მაყურებელი სულ მალე „კავეა პლუსზე“ იხილავს. ფილმი ქართული რაგბის შესახებაა და მასში ერთ-ერთ მთავარ როლს ზაზა მაღალაშვილი ასრულებს.

– ქართული კინოს მსოფლიო შედევრის „13 ცამეტის“ ავტორის, ლეგენდარული ქართველი რეჟისორის გელა ბაბლუანის პირველ ქართულ კინოსერიალს ძალიან მალე მხოლოდ კავეა პლუსზე იხილავთ. „ის ბიჭები“ ქართველი ერის დაბადების ამბავს გვიყვება, ნამდვილ ისტორიას თავისუფალ, მამაც, დაუმორჩილებელ ხალხსა და თამაშზე, რომელიც მართლა ჩვენია.

## ინტეგრირებული თეატრის მსახიობ ვანო ხმალაძეს „გურული დღიურების“ სტიპენდია დაენიშნა



ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ კაზრეთში მცხოვრებ მსახიობს, ვანო ხმალაძეს, იგივე ვანიჩკას გიორგი კეკელიძემ „გურული დღიურების“ სტიპენდია დაუნიშნა. ვანო ეტლში ზის, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ სცენაზე გამოვიდეს და მაყურებელს თავისი შესაძლებლობები წარუდგინოს.

**გიორგი კეკელიძე:**

– შესანიშნავი ამბავი გვაქვს: „გურული დღიურების“ ფონდის სტიპენდიატი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ კაზრეთში მცხოვრები მსახიობი ვანო ხმალაძე იგივე ვანიჩკა გახდა. ამ საოცარი ახალგაზრდის სტიპენდიას, ჩვენი ფონდის ერთგული მეგობარი, მარინა ჩხარტიშვილი უზრუნველყოფს.

ვანიჩკა არის ბრწყინვალე მაგალითი – ეტლში მჯდარი წლებია ინტეგრირებულ თეატრში მსახიობობს და ახლა უკვე დიდი თეატრის სცენაზე შეაბიჯა. გვიხარია, რომ დავმეგობრდით.

**ვანო ხმალაძე – ვანიჩკა, მსახიობი:**

– მე არასდროს ვფიქრობ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება ეტლის გარეშე. ამაზე ფიქრი უბრალოდ დროის დაკარგვაა და სხვა არაფერი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ახლა კი ვცდილობ ჩემი თავის მაქსიმალური რეალიზება მოვახდინო და ყველა შშმ პირს იმავეს ვურჩევ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 10 მაისისათვის

**ვერძი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **მორიელი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში; 2. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. გერმანელი მიკრობიოლოგი ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 6. ალბერტო მორავიას რომანი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის სახელწოდება ძველად საქართველოში.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართული მითოლოგიაში; 7. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 9. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. თაობიდან თაობაზე გადაცემული ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. მოყვითალო ფერის ფუტკრის მსგავსი მწერი; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

